პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 140 (11446)
პარასკევი
19
ივნისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

წარმატებით განვახორციელოთ დიადი შვიდწლედის ამოცანები!

მრეწველობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის მანქანებისა და ხელსაწყოების წარმოების განვითარებისა და გამოშვების გადიდების დარგში მოსკოვის (საქალაქო) ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სამრეწველო საწარმოების მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის 17 ივნისის დადგენილება

ქალაქ მოსკოვის მრეწველობის ჩარხსამშენებლო, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო დარგების საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს, იკისრეს დამატებითი ვალდებულებანი მოწყობილობის, მანქანების, ავტომატიზაციის ხელსაწყოებისა და საშუალებების წარმოების გადიდების დარგში.

ჩარხმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს გაადიდონ 1965 წელს 1958 წელთან შედარებით სპეციალური და აგრეგატული ჩარხების წარმოება 3.7-ჯერ, პროცეზიული ჩარხებისა — 3-ჯერ, ავტომატური ხაზებისა — 4,5-ჯერ, უახლესი ინსტრუმენტისა და საზომი ხელსაწყოებისა —2-ჯერ, რაც 1,4—2,1-ჯერ აღემატება შვიდწლიანი გეგმის დავალებას.

ხელსაწყოთმშენებლები გაადიდებენ ხელსაწყოების გამოშვებას 3-ჯერ, აქედან უწყვეტი პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციის ხელსაწყოების გამოშვებას — 2-ჯერ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს მოსკოვის (საქალაქო) ეკონომიური რაიონის ჩარხსამშენებლო, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნების მშრომელთა ვალდებულებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, იმიტომ რომ ახალი, მაღალი წარმადობის, სპეციალური და აგრეგატული ჩარხების, ავტომატური ხაზების, ავტომატიზაციის ხელსაწყოებისა და საშუალებების წარმოების გადიდება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების ამოცანის პრაქტიკულ გადაჭრას უფრო მოკლე ვადებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ქალაქ მოსკოვის მშრომელები პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ურჩევს მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს და ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი და წაახალისონ მშრომელთა ინიციატივა, რომელიც მიმართულია ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოების, წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებების გამოშვების გადიდებისაკენ, რაც ხელს შეუწყობს იმ დიდებული ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ნ. ხრუშჩოვი

გორკის ეკონომიური რაიონის ქარხნებში ქიმიური პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების შესაძლებლობათა გამონახვის საქმეში სკკპ გორკის საოლქო კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს ინიციატივის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის 17 ივნისის დადგენილება

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, უდიდესი პატრიოტული აღმავლობით და შემოქმედებითი ინიციატივით იბრძვიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

სკკპ გორკის საოლქო კომიტეტმა და გორკის სახალხო მეურნეობის საბჭომ ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი საწარმოების კოლექტივებთან ერთად შეიმუშავეს წინადადებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ქიმიური პროდუქციის, მათ შორის პოლიეთილენის, პოლიპროპილენის, ფენოლისა და ცხიმიანი სპირტების წარმოების გადიდებას.

პროდუქციის გამოშვების გადიდებას აღწევენ მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების, წარმოების პროცესების ინტენსიფიკაციის, მძიმელებული მოწყობილობის შეცვლისა და ნედლეულად ბუნებრივი გაზის გამოყენების გზით, შვიდწლედში გორკის სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან ქიმიური მრეწველობის განსავითარებლად გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა ზევით დამატებითი კაპიტალდაბანდებების გამოუყოფლად.

გორკის ეკონომიურ რაიონში ქიმიური პროდუქციის წარმოების დონე, რომელიც შვიდწლედის დამლევისათვის არის გათვალისწინებული, მიღწეულ იქნება 1964 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავისათვის. 1965 წელს ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები შვიდწლედის დავალებათა გადამეტებით გამოუშვებენ 1 მილიარდ 100 მილიონი მანეთის საერთო პროდუქციას.

ითვალისწინებს რა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

მოწონებულ იქნას სკკპ გორკის საოლქო კომიტეტისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს ინიციატივა გორკის ეკონომიური რაიონის ქარხნებში ქიმიური პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების შესაძლებლობათა გამონახვის საქმეში;

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს შეიტანონ საჭირო ცვლილებები გორკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის განვითარების შვიდწლიან გეგმაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი უსურვებს გორკის ოლქის ქიმიური და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკებს წარმატებებს ქიმიური პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ნ. ხრუშჩოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან

18 ივნისს კრემლში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელიც მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირში მოგზაურობიდან.

საბჭოთა მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ნ. კოსიგინი და სხვები.

გერმანიის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. გროტეოლმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებმა.

სრული ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ვითარებაში გაგრძელდა იმ საკითხთა განხილვა, რომლებიც იყო აზრთა გაზიარების საგანი წინა შეხვედრების დროს, აგრეთვე იმ ხაუბრების დროს, რომლებიც გაიმართა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს შორის საბჭოთა კავშირის ქალაქებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მოგზაურობის განმავლობაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ მდგომარეობას, რომელიც იქმნება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე, აგრეთვე გერმანიაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია გამწვავდეს დაძაბულობა ევროპაში.

გერმანელი სტუმრები მოსკოვში

ვ. ულბრიხტმა, ო. გროტეოლმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებმა, რომლებიც 17 ივნისს მოსკოვში დაბრუნდნენ საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობიდან, რამდენიმე საათი გაატარეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

სტუმრებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დაათვალიერეს პავილიონები „რადიოელექტრონიკა“, „სსრ კავშირის ტრანსპორტი“, „სსრ კავშირის ელექტროფიკაცია“ და სხვ.

გერმანელ სტუმრებთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი და სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრთა ჯგუფმა იმავე დღეს დაათვალიერა ატომგულის ქვეშეთ აგებული ინსტიტუტი ქ. დუბნაში.

საღამოს გერმანელი სტუმრები იყვნენ სსრ კავშირის დიდ თეატრში, სადაც ნახეს ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“.

სტუმრებთან ერთად ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიკოიანი.

17 ივნისს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. გროტეოლმა სტუმრად მიწვიეს თავისთან ქარხანა „დინამოს“ მუშაკთა დელეგაცია.

სტუმრებთან გულთბილი, მეგობრული საუბრის შემდეგ ვ. ულბრიხტმა ქარხანა „დინამოს“ კოლექტივის აზიარა გამოჩენილი გერმანელი რევოლუციონერის კარლ ლიბკნეხტის ბრიგადის ბარელიეფი. (საკდესი).

„ატომები მშვიდობისათვის“



სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. სურათზე: თვითმფრინავი „ტუ-104“ გამოფენის ერთ-ერთ მოედანზე. ფოტო ნ. კულეშოვისა და ა. სერგეევ - ვასილიევისა (საკდესის ფოტოკორონიკა).

საბჭოთა ხალხის ეს დევიზი ეგებება მნახველებს სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენის იმ პავილიონის შესასვლელთან, რომელიც მიძღვნილია სამამულო მეცნიერების წარმატებებისადმი ატომის აღნაგობის საიდუმლოებათა შეცნობაში. საბჭოთა ხალხს სურს თავისი მიღწევები გახადოს ყველას კუთვნილება, ვინც მასთან ერთად იბრძვის მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის.

ფოტოვიტრინების სერია გვიჩვენებს, თუ როგორ ეხმარება სსრ კავშირი მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების მიხედვით სხვა ქვეყნებს საკუთარი ატომური სამეცნიერო-საკვლევი ცენტრების შექმნაში, აწვდის რა რეაქტორებს, დამჩარებლებს, რადიოქიმიურ ლაბორატორიებს, იზოტოპებს, ხელსაწყოებს. ციფრები მოწმობენ, რომ სსრ კავშირის მსოფლიოში პირველი ატომური სადგური დაათვალიერეს 66 ქვეყნის 4.135 მეცნიერმა და სპეციალისტმა და 2.200-ზე მეტმა საზოგადო მოღვაწემ. საბჭოთა კავშირის გამოფენები „ატომები მშვიდობისათვის“ ნახვენები იყო 22 ქვეყანაში. ისინი დაათვალიერა 5 მილიონმა კაცმა.

პავილიონში ფართოდ წარმოდგენილია ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის საქმიანობა, რაც მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითია. მთელი კედელი უკავია გიგანტური ატომური მანქანის — 10 მილიარდი ელექტრონოვოლტი ენერგიის სინქროფაზოტრონის მუშაობის სქემას. ეს მანქანა შექმნეს საბჭოთა მეცნიერებმა და იგი გადაეცა გაერთიანებულ ინსტიტუტს ერთობლივი კვლევისათვის. ამ საუცხოო მანქანის მუშაობის ტემპი კოსმოსურ სიჩქარეებს უახლოვდება. 3,3 წამში დაჩქარებული ნაწილაკები აქ გადიან დაახლოებით 1 მილიონ კილომეტრ გზას. ყურადღებას იპყრობს სინქროფაზოტრონის სამანქანო დარბაზის მაკეტი და ფოტოექსპოზიცია, რომელიც გვიჩვენებს მისი მუშაობის სხვადასხვა სტადიას. დიდ ფოტოზე აღბეჭდილია მეცნიერი თანამშრომელი ა. ბელონგოვი იმ მომენტში, როცა იგი სინქროფაზოტრონზე სამუშაოდ ამზადებს 50-ლიტრიანი წყალბადის კამერას. გვერდით არის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი კიმ ხი ინი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელიც აწყობს დამაჩქარებლის მეორე დანადგარს. მანქანის სპეკტრომეტრთან მუშაობენ გაერთიანებული ინსტიტუტის მრავალეროვანი ოჯახის წარმომადგენლები — მეცნიერი გელერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და პოლონელი ფიზიკოსი სვიატკოვსკი.

გაშლილი ექსპოზიცია ახასიათებს მშენებარე ატომურ ელექტროსადგურებს. ლამაზად შესრულებული მაკეტი წარმოდგენას იძლევა მძიმე წყლის რეაქტორიანი ატომური ელექტროსადგურის ტიპზე. 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის ასეთი სადგური შენდება ჩეხოსლოვაკიაში ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპეციალისტების პროექტით.

პავილიონის ერთ-ერთი დარბაზი გვაცნობს საბჭოთა მეცნიერების წარმატებებს მშვიდობიანი მიზნით თერმოატომგულის ენერგიის გამოყენების დარგში. დარბაზის მესამედი უკავია იმპულსურ თერმოატომგულის დანადგარს, რომელიც მინის ტიხრს უკან არის მოთავსებული. ექსპოზიციის მასალები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივა თერმოატომგულის რეაქციების სამუშაოთა განსაიდუმლოებაში. ჩვენმა ქვეყანამ სამამულო დანადგარები და თერმოატომგულის სინთეზის მეთოდები უნაკლო ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ეკონომიის საერთაშორისო კონფერენციაზე, რითაც ხაზი გაუსვა თავის ურყევ მისწრაფებას — ადამიანის გენიის ახალი კიდევ უფრო მძლავრი მონაპოვარი ჩაიყენოს ხალხთა მშვიდობიანი ეკონომიური აყვავების სამსახურში.

წარსულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაფართოებულია გამოფენის განყოფილება, მიძღვნილი მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების საკითხებისადმი.

...მთის გასწვრივ მიჰქრის ავტომობილი, მის თავზეა თვითმფრინავი. ასეთი პანორამაა განყოფილებაში, რომელიც მოგვითხრობს ატომური მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის — ურანის ძიების რადიომეტრიულ მეთოდებზე. ურანის მაღნის ბუნებრივი რადიოაქტივობა შესაძლებელს ხდის, რომ ის აღმოჩენილ იქნას სხვადასხვა რადიომეტრიული აპარატურის საშუალებით, რომლითაც შეიძლება ვისაოგებლოთ დაზვერვის დროს დედამიწაზე და ჰაერიდან. ექსპონირებულია კომპლექსური აეროფოტოკიკური სადგური „ასტ-38“ გეოლოგიური საძაზვერვო თვითმფრინავებისათვის. მის გვერდით არის ავტომობილზე დადგმული გრამა-რა—დიომეტრი „სგ-14“.

მეცნიერებმა იზრუნეს, რომ გამოფენის მნახველებს შესაძლებლობა ეძლეთ დაინახონ ატომგულის უაღრესად ფარული პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ რეაქტორებში და საბოლოო ანგარიშით წარმოშობენ ელექტროენერგიას.

საინტერესოა სტენდები, რომლებიც მოგვითხრობენ ატომური მრეწველობის ნარჩენების—იზოტოპების მრავალფეროვან გამოყენებაზე სახალხო მეურნეობაში. ისინი საშუალებას იძლევიან უბრალოდ და ეკონომიურად შეეისწავლოთ, მაგალითად, მანქანების დეტალების გაცვეთა. სულ უფრო ფართოდ იყენებენ რადიოაქტიურ იზოტოპებს სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობაში.

ყოველივე ნანახი გამოფენაზე მოწმობს, რომ მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენება შვიდწლედში საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. (საკდესი).

გარაჟალა მათს მარჯვენას

ვიმეზიდველ სურათს წარმოადგენს პურის ყანები სიღნაღელთა საკოლმეურნეო მინდვრებში. ქარი რომ დაუბერავს, ოქროს თავთავებით დახუნძლული ყანები ზღვასავით იწყებს ღელვას.

სიღნაღელებმა დიდი შრომა გასწიეს. ბევრი დღე დაადამეს და ღამე გაათენეს. ახლა პური დამწიფდა, ყანებში კომბაინები დაცურავენ, სწრაფად იღებენ ნაამაგარ მოსავალს.

როცა სამკალი მანქანა ყანის კუთხესთან შემოტრიალდა და ჩვენსკენ აიღო გეზი, ქვემო მაჩხანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ჭუჭულაშვილმა მანქანის საჭესთან მჯდომ მექანიზატორზე მიგვითითა.

— შოთა ჯანყარაშვილია, ჩვენი საუკეთესო ტრაქტორისტი. იგი წელს პირველად იღებს პურეულს ორ ფაზად (გაყოფით). მიუხედავად ამისა, შეუფერხებლად მართავს მანქანას.

კოლმეურნეები სიხარულით შეჰყურებენ ფართომოდების სამკალ მანქანას. მანქანას პურეული მომკილი მასივის ნაწვერალზე გასაშრობად დაულაგებია.

აი სამუშაოდ გამოსულან კომბაინერი გიორგი პუტრაიშვილი, ტრაქტორისტი მიხეილ შანშაშვილი-და მეშტურვალე ომარ შანშაშვილი. მათ კომბაინისათვის სპეციალური ამკრეფი მოუწყვიათ და გამხმარ პურეულს ლეწავენ.

ჰექტარზე 25 ცენტნერი, ზოგან 30 ცენტნერი პური ნაცვლად 13 ცენტნერისა და შარშან მიღებული 4 ცენტნერისა!

კოლმეურნეობა პურეულის ორ ფაზად აღებით დიდად იგებს. ამ პროგრესულმა წესმა საშუალება მისცა სამკალით პურის აღება უფრო ადრე დაეწყო.

ხარობენ კოლმეურნეები, მექანიზატორები. იბრძვიან იმისათვის, რომ არც ერთი თავთავი მინდორში არ დარჩეს. კომბაინებით მომკილ ნაკვეთს ფეხდაფეხ მიჰყვებიან ლილი შანშაშვილი, მერი შიუკაშვილი, ჯუმბერ ჯანყარაშვილი, ლილი პაპაშვილი. თვითეული მათგანი აკრეფილი თავთავებით საკოლმეურნეო ბეღელს ყოველდღიურად 20-25 კილოგრამ ხორბალს მატებს.

სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, 1.230 ჰექტარი პურეული უთესია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რომელიც მექანიზებულ კალოზე მარცვლის წმენდის ხარისხს ამოწმებდა, გვიამბო:

— პურეულის ასეთი ბარაქიანი მოსავალი ძველანაგელებს ჯერ არ ახსოვთ. შრომა დაგვიფასდა. უკვე ავიღეთ 211 ჰექტარი ქერი, ჰექტარზე 23 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ. შარშან კი მხოლოდ 8 ცენტნერი იყო. ხორბლის მოსავალს უფრო მეტს ვიღებთ. ახლა ბეღლების მომატება დაგვჭირდება.

თავმჯდომარის სიტყვა მართალია. დაიწყო პურეულის მკა. ხორბალი პირველმა გაჭრა თვითმავალ კომბაინზე მომუშავე გიორგი ძმანაშვილმა და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ძველანაგელ კოლმეურნეებს კარგად მოუწყვიათ კალო. მექანიზებულ კალოზე გაცხოველებული მუშაობაა. აქ ნახავთ ბრიგადირს მიხეილ ბასილაშვილს, კოლმეურნეებს ვასილ ბეგიაშვილს, ფირუზ ოსაშვილს, ალექსი ბასილაშვილს, ანიჩკა ბასილაშვილს და სხვებს, სულ 60-მდე კოლმეურნეს, რომლებიც ხორბლის წმენდასა და დაბინავებას არ აგვიანებენ.

სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კალოებზე ხორბლის ხვავები გამრავლდა. კოლმეურნეობაში 162 ჰექტარი ქერის მკა დაამთავრეს, საშუალოდ ჰექტარზე 23 ცენტნერი მარცვალი მიიღეს ნაცვლად შარშან მიღებული 4 ცენტნერისა.

უკვე გაიჭრა პურეული, აღებული პირველი ჰექტარები სასიხარულო შედეგს იძლევა. კომბაინერი ფირუზ მახარაშვილი ერთი შემოვლით ორ კილომეტრ მანძილს აკეთებს. კომბაინი სიგნალს იძლევა, ბუნკერი ახალი ხორბლით აივსო, რამდენიმე წუთი, და გივი ვარდიაშვილის მანქანის ძარა ქარვისფერი მარცვლით დაიტვირთა. კომბაინერმა მანქანის მეორე შემოვლა ვერ მოასწრო, ბუნკერი კვლავ გაივსო ხორბლით. მძღოლები ილია ტოგონიძე, ვალიკო ერიაშვილი, ვახტანგ ნანობაშვილი ძლივს ასწრებენ კომბაინის გაუჩერებლად ბუნკერის დაცლას.

ჰექტარზე 28 ცენტნერი ხორბალი — ეს მოსავალი ვაქირელმა კოლმეურნეებმა მოიყვანეს.

სიღნაღელებს შრომა დაუფასებათ. ისინი ხარობენ თავიანთი ნაამაგარით. ყოველდღე ახალი ხორბლით დატვირთული მანქანები მიიჩქარიან ბეღლებისაკენ.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

გეგმების შესრულება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობები და კოლმეურნეები წარმატებით ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ ვალდებულებებს. მათ 15 ივნისისათვის გადაჭრბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა: ხორცისა — 103,7 პროცენტით, რძისა — 105,9 პროცენტით, მატყლისა — 119,6 პროცენტით.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ადრე — 18 ივნისისათვის გადაჭრბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრეფილია 7.810 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ შარშანდელთან შედარებით 2.020 ტონით მეტი.

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე ადრე — 17 ივნისისათვის შეასრულა ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა, მოკრიფა 1.170 ტონა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.165 ტონისა.



სურათზე: სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავლის აღება ორ ფაზად (გაყოფით). ფოტო შ. ნინეტიანისა.

საბჭოთა ადამიანი — შვიდწლედის შემოქმედი

მძლავრი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ჩვენი ქვეყნის ხახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობებზე და საკოლმეურნეო მინდვრებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბჭოთა ადამიანები გმირულად, მამაცურად შრომობენ, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიად გზაზე.

საბჭოთა ადამიანი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ნამდვილი შემოქმედია. იგი თავისი მადლიანი მარჯვენით ქმნის ხახალხო დოვლათს, ერთგულად ემსახურება პარტიას, სამშობლოს, დაუცხრომლად იბრძვის ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის ამ გვერდში დაბეჭდილ მასალებში ლაპარაკია საბჭოთა უბრალო ადამიანების სასახელო შრომაზე შვიდწლედის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.



★ ★ ★ ნოვატორი მეხილე

გორული ხილი მთელ ჩვენს ქვეყანაშია ცნობილი. ხილის უხვი მოსავლის მიღებაში სახელი გაითქვა "სოფელ ქვეშის კოლმეურნეობის მერგოლურმა მ. რჩეულიშვილმა. მას ბავშვობიდანვე უყვარდა ხეხილის ბაღში მუშაობა. ჯერ კიდევ ათი წლისა რომ იყო, მას ხშირად ნახავდით კოლმეურნეებთან ხეხილის ბაღში. საბჭოთა არმიიდან დაბრუნების შემდეგ ბეჯითად მუშაობს კოლმეურნეობაში. თავისი საქმიანობით ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ახალგაზრდა მებაღის ფხიზელ თვალს ხეხილის ბაღებში არც ერთი სამუშაო არ გამოეპარება, რჩევა-დარიგებისათვის ხშირად გამოცდილ მებაღეებთან, აგრონომთან მიდის ხოლმე. მან კარგად იცის, რომ ბაღის მოვლა-პატრონობა რთული საქმეა. ერთხელ დადგენილი წესებით უხვ მოსავალს ვერ მიიღებ. თვითეულ ძირ ხეხილს თავისებური მოვლა უნდა. იგი მოვლისას ყოველთვის ითვალისწინებს ხის ასაკს, მსხმოიარობას.

მ. რჩეულიშვილის რგოლის წევრები შემოდგომაზე მოსავლის აღებისთანავე იწყებენ ხეხილის დათვალიერებას, ამოწმებენ ნარგავთა მდგომარეობას და ამის მიხედვით ითვალისწინებენ, თუ რა უნდა გაკეთდეს შემოდგომაზე და ზამთარში. პირველად იწყებენ მავნებელთა ბუდეებისა და ხეების დაავადებული ნაწილების მოშორებას, დაცვივნული ფოთლის მოგროვებას და დაწვას. ხეზე არ ტოვებენ არც ერთ მოზამთრე ბუდეს — ნოემბერში ხეებს სწლავენ.

გასხვლის დამთავრების შემდეგ ნარგავებს 5-პროცენტიანი ძაღის ხსნარით ჩამობანენ, შეათეთრებენ თიხანარევი კირით. ამ სამუშაოს ამთავრებენ დეკემბრის პირველ ნახევარში, შემდეგ იწყებენ ბაღებში ნაკელის შეტანას ისე, რომ თვითეულ ხეზე საშუალოდ მოხვდეს 200-250 კილოგრამი ნაკელი. სასუქს თანაბრად ფლიან მთელ ფართობზე. მწკრივებს შორის ნიადაგს მზრალად ხნავენ, ხოლო ნარგავებს ძირებს შემოუბარავენ ისე, რომ ფესვები არ დაუზიანდეს.

გაზაფხულზე კვირტების დაბერვის პერიოდში მავნებლების წინააღმდეგ ორჯერ აწყობენ ხეების დაბერტყვას საფენზე. პირველად კვირტების სრული დაბერვისას, მეორედ — ყვავილობის დამთავრებისთანავე. საფენზე ჩამობერტყილ მავნებლებს მაშინვე შეაგროვებენ და სპობენ — ამის შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ აწარმოებენ კომბინირებული ნაზავით შესხურებას გაზაფხულზე და ზაფხულში ოთხჯერ. ერთი სიტყვით ხეხილის ბაღი მუდამ ფხვიერ მდგომარეობაშია.

ასეთი მოვლის შედეგად ამხ. რჩეულიშვილის რგოლი ყოველწლიურად ხილის უხვ მოსავალს იღებს. შარშან თვითეულ ხეს ისე ესხა, რომ ტოტები ვერ უძლებდნენ ნაყოფის სიმძიმეს. ამიტომ ტოტებისათვის საყრდენის გაკეთება დასჭირდათ.

ერთი ჰექტარი არცთუ ისე დიდია. სულ 107 ძირი კეხურა დგას. მაგრამ ამ ბაღში შარშანდელმა შემოდგომამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ადამიანს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ამ ბაღის ხილვა, საუკეთესო მხატვარსაც არ ეყოფოდა ფერები და ოსტატობა, რომ ეს წარმტაცი სანახაობა ტილოზე აღებეჭდა.

ჰექტარზე 806 ცენტნერი ხილი! აი მ. რჩეულიშვილის პირადი შრომის ნაამაგარი. ეს სარეკორდო მოსავალია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვისაც.

სწორედ ასეთი სარეკორდო მოსავლისათვის მერგოლური მ. რჩეულიშვილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ღირსეული მონაწილე გახდა. წელს გამოფენის სტენდებზე სოფლის მეურნეობის სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად საპატიო ადგილას ნახავთ ხილის უხვი მოსავლის ნოვატორის მ. რჩეულიშვილის ნაამაგარს.

სახელოვანი მეხილე მ. რჩეულიშვილი ძალღონეს არ ზოგავს შვიდწლედის პირველ წელს ხილის მოსავლის ახალი რეკორდის დამყარებისათვის.

შ. ზანათელი.

გმირი დედის ოჯახი პლანტაციაში

გმირი დედა! რაოდენ საამაყოა ეს სახელი, რაოდენ ძვირფასია იგი ყოველი ხაბჭოთა ადამიანისათვის. ამ სახელს თვალისჩინვით უფრთხილდებიან პარტია და მთავრობა, ჩვენი სამშობლო.

გმირი დედა! სიხარულით წარმოთქვამენ ლუშა ახვლედიანის სახელს ბალის რაიონის ხოფელ ოქუმში. თანასოფლელები ყოველდღიურად გადახედავენ ახვლედიანების ოჯახის ჩაის პლანტაციას და მარჯვენას უქნევენ ამ ოჯახის მეჩაიეთა მთელ პლეადას.

ჩვენ ვნახეთ ამ ოჯახის პლანტაცია, აქ შევხვდით რომანოზ ახვლედიანს. მას გვერდით ედგა მეუღლე, თერთმეტი შვილის გმირი დედა ლუშა ახვლედიანი.

— ჩაის კულტურა კოლმეურნეობა სიმდიდრის წყაროა, — განაცხადა რ. ახვლედიანმა, — ჩემი ოჯახის წევრები გათენებიდან გვიან ხაღამომდე ჩაის პლანტაციაში ვტრიალებთ. წელს ვუვლით 1,7 ჰექტარ ჩაის პლანტაციას და ვალდებულება ვიკისრეთ ხეზონში მოვკრიფოთ და ხახელმწიფოს ჩავბარეთ 20 ტონა პირველი ხარისხის ნედლეული. ახლა თავდადებულად ვიბრძვით ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

რომანოზის ქალიშვილები ვარვარა, ბუცა, ნაირა, რძალი თუთანა ჩაის კრეფაში ერთმანეთს ეჯიბრებიან და თვითეული მათგანი ყოველდღიურად 80-100 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. მათ არც ვაუები ფრესტი და მიხეილი ჩამორჩებიან. კრეფაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილთვე თვით რომანოზი და მისი მეუღლე ლუშა, ხოლო რომანოზის უფროსი შვილი ზაქრო ამჟამად ხაბჭოთა არმიის რიგებშია. ქალიშვილები ლუბა და ბაბუცა მეზობელ სოფლებში არიან გათხოვილი, ყველაზე უმცროსი ვაჟი ლამაზო ჯერჯერობით ოთხიოდე წლისაა და მისდამი მეთვალყურეობა მისი უფროსი ძმისთვის, მესაზეკლახელ რაიკოსათვის დაუკიხრებიათ.

ახვლედიანების ოჯახის წევრები ამჟამად ყოველდღიურად 350-400 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ.

ი. ბოგბეჩია.

დონბასელ მეგობრებთან

ლუგანსკში, საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური სამთო საზოგადოების მეორე ყრილობაზე გაჟღერებული დონბასელი მეშახტე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი პ. პოლშჩიკოვი. გამეხარდა, როცა შეკითხეს, რომ პ. პოლშჩიკოვი შახტ „სევერნაია 2-ის“ იმავე ლავში შუშაობს, სადაც სახელგანთქმული ნოვატორი მეშახტე ნიკოლოზ მამაი.

ეს შახტი ლუგანსკიდან დაახლოებით ას კილომეტრზე მდებარეობს. ყრილობის დახურვის შემდეგ პ. პოლშჩიკოვის მიწვევით დონბასელ მეშახტეებს ვიწვიეგულთბილად მიმიღეს. დაინტერესდნენ ქართველ მეშახტეთა საქმიანობით. დონბასელებს გავაცანი ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ზოგიერთი თავისებურება ვუამბე ქართველ მეშახტეთა შრომასა და ცხოვრებაზე. მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ დამუშავების სისტემები, ქვანახშირის ფენების სისქე, მუშაობის მოწინავე მეთოდები. დონბასელებში დიდი ინტერესი გამოიწვია ქვანახშირის ამოღების რენტაბელურმა მეთოდმა — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდმა, რომელიც ჯერჯ ხანია დაინერგა ჩვენს შახტში.

ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ დონბასელებისაგან.

შახტის მეოთხე საექსპლოატაციო უბანში ყურადღება მიიპყრო გამონამუშევრების სუფთა ჰაერის ჭაელით განიავების საუკეთესო მოწყობამ. როგორც გვითხრეს, აქ ყველა საექსპლოატაციო უბანს ცენტრალური განიავების საკუთარი სისტემა აქვს. ლავებში ელექტროენერგიის ნაცვლად შეკუმშული ჰაერს იყენებენ. ცნობისმოყვარეობით დავათვალიერეთ ლავი, რომელსაც 145 მეტრი სიგრძე აქვს. ამ უბანში, ისევე როგორც მთელ შახტში, საფეხურიანი სისტემით მუშაობენ. ლავში სულ 12 საფეხურია, თვითეული საფეხურის სიგრძე 12 მეტრს აღწევს. საფეხური ცვლაში 11 ტონა ქვანახშირს იძლევა.

მეშვიდე საფეხურთან ქვანახშირის საუკუნოვან ფენებს ერკინებოდა ჰტლეტური აგებულების მეშახტე. ჩვენ რომ დაგვინახა, გაეღიმა, სახელოთი შუბლზე ოფლი მოიწმინდა და მხიარულად გვითხრა: — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

იგი ნიკოლოზ მამაი იყო. დაინტერესდით მამაის მუშაობით. მან აგვიხსნა, რომ ცვლაში ერთი საფეხურის მონგრევა ეკალება. იგი პირველად ახდენს ქვანახშირის ფენის გამოყენვას მთელ სიგრძეზე, შემდეგ კი ჩაქუჩის მძლავრი დარტყმით ანგრევს მას. მთავარ ყურადღებას ვაქცევ, თქვა მამაიმ, გამოღებული სიგრცის დროულ გადამაგრებას. საფეხურის ყოველი ორი მეტრის სიგრძეზე მონგრევის შემდეგ ვდგამ ბიგს.

შახტის გამოსასვლელთან პ. პოლშჩიკოვი დაგვხვდა. იმ დღეს ხელი მოვაწერეთ ჩვენს ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებს. ჩვენ ვიკისრეთ შვიდწლიანი გეგმა შეკასრულოთ ხუთ წელიწადში; ბრიგადის თვითეულმა წევრმა ცვლაში ნორმის ზევით ამოიღოს 2,5 ტონა ქვანახშირი; ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შევამციროთ მანეთნახევრით; ბრიგადის თვითეულმა წევრმა აიმაღლოს ცოდნის დონე; ვიზრუნოთ ახალი სამთო ტექნიკის დანერგვისა და სრულყოფილად გამოყენებისათვის.

დონბასელ მეშახტეებს დავემშვიდობეთ იმის ღრმა რწმენით, რომ ერთმანეთთან მეგობრული შეჯიბრება ახალ ენერგიას შეგვმატებს შვიდწლედის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ა. ბაკურაძე.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

• • •

სურათზე: (მარცხნიდან) ტყიბულის ი. ბ. სტალინის სახელობის შახტის მნგრეველთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ამბროსი ბაკურაძე და დონბასელი მეშახტე კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი პანტელეი პოლშჩიკოვი.

ფოტო ა. კოზლოვისა.

ახალი ტექნიკა, ახალი საწარმოები

საქართველოში ბავის საუკეთესო პირობებია ძვირფასი ეთერ-ზეთოვანი კულტურების განვითარებისათვის. ეს კარგად არის გათვალისწინებული შვიდწლიან გეგმაში, რომლის მიხედვით შვიდწლეულის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ეთეროვანი ზეთების გამოშვება სამჯერ და მეტად გადიდდება. ამასთან ათვისებული იქნება იის, ტუბეროზის, მწარე ფორთოხლის, ზამბახის და სხვა ეთეროვანი ზეთების წარმოება. საგრძნობლად გაიზრდება — მსხვილყვავილოვანი ყასმინის, ვეტივერის, ვარდის, გერანის და სხვა ეთეროვანი ზეთების წარმოებაც.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება მოქმედი ეთერზეთოვანი ქარხნების ხიმძლავრე. მოხდება არსებული საწარმოო ფართობების მთლიანად გამოყენება, მანქანა-მოწყობილობის მოდერნიზაცია, ავტომატიზაცია და მექანიზაცია. 1960 წლისათვის აბაშის ეთერზეთების ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი საამქრო, რომელიც წელიწადში 60 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს. ახალი საამქრო მოეწყობა აგრეთვე ოჩამჩირის ზეთსახდელ ქარხანაში. ეს საამქრო ყოველწლიურად მიხცემს სახელმწიფოს ნ მილიონი მანეთის იელის ძვირფას ეთეროვან ზეთს და დაუზოგავს ერთ მილიონ მანეთს.

დღემდე საქართველოს ეთერზეთოვანი საწარმოების მიერ გამომუშავებული ყვავილოვანი ექსტრაქტი საბოლოო პროდუქციის — აბსოლუტური ეთეროვანი ზეთის მისაღებად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იგზავნება. ხორშის საბჭოთა მეურნეობის ეთერზეთოვან ქარხანაში მოეწყო და ამუშავდა ყვავილოვანი ექსტრაქტიდან აბსოლუტური ეთეროვანი ზეთების მისაღები საამქრო.

ტექნიკური ბაზის განმტკიცებას თან ერთად განსაკუთრებული უურადღება ექცევა ეთერზეთების ქარხნებში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო მიმდინარე წელს ეთერზეთების საწარმოებში განახორციელებს გამოზდის ხიჩქარისა და ნახადი წყლების ტემპერატურის რეგულირების ავტომატიზაციას. უახლოეს მომავალში დაინერგება გამოსახდელ კუბებში ეთერზეთოვანი ნედლეულის ჩატვირთვის და გადამუშავებული ნედლეულის გადმოტვირთვის მექანიზაცია. კონსტრუირებული იქნება გერანის და რეპანის ნედლეულის ასაღები მანქანები და ა. შ. ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს ნედლეულის ტექნოლოგიური გადამუშავების რეჟიმის ზუსტად დაცვას, საგრძნობლად შეამცირებს გამომუშავებული პროდუქციის თვითღირებულებას.

ეთეროვანი ზეთების წარმოების ბაზაზე თბილისში შენდება პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ფაბრიკა. იგი დაკმაყოფილებს ამიერკავკასიის და სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა მოთხოვნილებას პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ნაწარმზე. უნდა აღინიშნოს, რომ პარფიუმერიის მრეწველობა, კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად, ფართოდ იყენებს სინთეზურ სურნელოვან ნივთიერებებს, რომელთა წარმოება საქართველოში დღემდე არ არის დანერგილი. ხინთეზური სურნელოვანი ნივთიერების ძირითად საწყის ნედლეულს ნავთობის გადასამუშავებელი და აზოტოვანი სასუქების ქარხნების ნარჩენები წარმოადგენს. ამის გამო დიდად სასარგებლო იქნებოდა, თუ ასეთ ქარხნებთან ან თვით პარფიუმერიის ფაბრიკასთან მოეწყობა სინთეზურ სურნელოვან ნივთიერებათა მისაღები საამქრო, რომელიც უმნიშვნელო ფულადი დანახარჯებით გადაწყვეტს რესპუბლიკის მრეწველობის სინთეზური სურნელოვანი ნივთიერებით მომარაგების საკითხს.

ნ. იაკობაშვილი,

ტრესტ „საქცხინეთერზეთის“ მმართველის მოადგილე.

შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა

სოხუმი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო კომბინატის კოლექტივი ღირსეული შრომითი საჩუქრებით ხვდება ხკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. აქ საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 1 ივნისისათვის შეასრულეს და დღისათვის გეგმის გადამეტებით 2,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. კომბინატის საწარმოებმა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 800 ათასი მანეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები ვადაზე ადრე გაანაღდეს სოხუმის ავეჯის ფაბრიკის, სამსხმელო-მექანიკური ქარხნის, სატრიკოტაჟო-საგალანტერიო ფაბრიკის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

• • •

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ფართოდ გამოეხმაურა თბილისელ ელმავალმშენებლთა მოწოდებას, ვადაზე 23 დღით ადრე ყველა ასორტიმენტის მიხედვით შეასრულა პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის დავალება.

მეავეჯეები წარმატებით ანაღდებენ აგრეთვე შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად ნაკისრ ვალდებულებებს. 200.000 მანეთის ანგარიშში, რაც ფაბრიკის კოლექტივმა მომდინარე წელს უნდა შეიტანოს ამ ფონდში, უკვე დაზოგილია 170.000 მანეთი.

საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს ამწყობი საამქროს კოლექტივი, რომელსაც ნ. გონგლაძე ხელმძღვანელობს. ყოველდღიურ დავალებას დიდი გადამეტებით ანაღდებენ უფროსი ოსტატი ნ. გოლოვჩენკო, გამკრიალებელი ვ. კუბლაშვილი, მედაზგე ვ. ხვიდელიძე, ამწყობი გ. გიგაური, დამფანერებლები ნ. კაჭარავა და ვ. კინწურაშვილი.

ჟუთაისელ მეავეჯეთა გადაწყვეტილებაა იქნეს თვეში შეასრულონ შვიდი თვის დავალება და მშრომელებს გეგმის გადამეტებით მისცენ ნახევარი მილიონი მანეთის მაღალი ხარისხის ავეჯი.

თამარ გუმბარიძე ლანჩხუთის რაიონის შრომისუბნის კოლმეურნეობაში ყოველდღიურად კრეფს 50-60 კილოგრამ ფოთოლს ნაცვლად 20 კილოგრამისა.

ოქროს ფონდი

ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ პარტიის გურჯაანის რაიკომში ხშირად ნახავდით ასეთ სურათს: ჯერ სამუშაო დღე არც კი დაწყებულა, ხოლო რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტში უკვე თავს იყრიან ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, აქტივისტები.

თითქმის ყოველთვის, საგაზაფხულო თესვის დღეებში, პურეულის მოსავლის აღებისა თუ რთველის წინ, ეწყობოდა „მიმაგრებულთა“ ასეთი თათბირები.

— შენ, ამხანაგო შალვა, — მიმართავდა რაიკომის მდივანი ერთ-ერთ „მიმაგრებულს“, — ჭანდარში წახვალ. იქ კარგად ვერ მიდის თესვის საქმე. შენ კი, ამხანაგო ვალერიან, დღესვე ახაშენში უნდა გაჩნდე. ეტყობა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე საქმეს თავს ვერ ართმევს, აბა შენ იცი, რა ზომებსაც მიიღებ ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

და ასე, ყოველ კოლმეურნეობაში იგზავნებოდა რაიკომის წარმომადგენელი განსაკუთრებული დავალებით: ყველა ზომა მიეღოთ თესვის დასაჩქარებლად.

მორჩებოდა თესვა, დაიწყებოდა პურეულის მოსავლის აღება, და რაიკომის წარმომადგენლებიც კვლავ სოფლებისაკენ მიეშურებოდნენ ახალი დავალებებით. მაგრამ ეს საქმეს დიდად მაინც ვერ შველოდა, ვინაიდან ნაკლები იყო ზრუნვა საკოლმეურნეო კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის.

საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობა რთული და პასუხსაგები საქმეა. იგი ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს დიდ ოსტატობას და უნარს — სწორად წარმართონ მეურნეობის ყველა დარგის განვითარება, ყურადღებით მოეკიდონ კოლმეურნეობათა საჭიროებებსა და მოთხოვნებს. სიმართლე რომ ითქვას, პარტიის რაიკომი ყოველთვის სწორად ვერ შეარჩევდა ხოლმე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად უნარიან და საქმის მცოდნე ხელმძღვანელებს. საკოლმეურნეო კადრებთან მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოაშკარავებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ. სექტემბრის პლენუმის მიერ დასახულ დიდ ამოცანებთან დაკავშირებით დღესავით ნათელი გახდა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს განსაკუთრებით დიდხანს ითმენდნენ და ელოლიავებოდნენ, ამაოდ ცდილობდნენ დაბმარებოდნენ „მიმაგრებულთა“ მივლინებებით თუ რაიკომის ბიუროს სხდომაზე „შეხურებით“.

სექტემბრის პლენუმმა არსებითი გარდატეხა შეიტანა კადრებთან მუშაობაში. რაიკომმა ახლებურად მოჰკიდა ხელი საერთოდ კადრებისა და კერძოდ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევასა და აღზრდას. წინათ მთავარი ყურადღება ექცეოდა ამა თუ იმ თანამდებობისათვის ცოტად თუ ბევრად შესაფერი ამხანაგის შერჩევას. ახლა კი რაიკომი საკოლმეურნეო კადრებს სულ სხვა მოთხოვნებს უყენებს: საჭიროა მუშაკს გამომუშავებული ჰქონდეს ორგანიზატორული ჩვევები, იცოდეს სოფლის მეურნეობა, ჰქონდეს დიდი ცხოვრებისეული და პარტიული გამოცდილება.

პარტიის რაიკომის მუშაობის გამოცდილებიდან

გურჯაანის რაიკომის მუშაკებს რომ ჰკითხოთ, რით დაიწყეთ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაო, გადაჭრით გიპასუხებენ:

— საკოლმეურნეო კადრებთან, პირველ რიგში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან მუშაობის გაუმჯობესებით.

• • •

...ოთხი წლის წინათ სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობას ყოველ რაიონულ თათბირსა თუ შეკრებაზე, რაიკომის პლენუმსა თუ რაიონული საბჭოს სესიაზე აკრიტიკებდნენ ჩამორჩენისათვის. კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, საქმის ცოდნით და ყაირათიანად ვერ წარმართავდნენ საზოგადოებრივ მეურნეობას.

რაიკომი ჩააფიქრა კოლმეურნეობის ასეთმა სავალალო მდგომარეობამ. მალე ჭანდარში გაგზავნა რაიონული კომიტეტის მუშაკთა ჯგუფი ინსტრუქტორების, აგრონომებისა და ეკონომისტების შემადგენლობით. ამ ჯგუფმა, რომელშიც რაიკომის მუშაკი რ. რაქვიაშვილიც შედიოდა, ერთ კვირაზე მეტს დაჰყო ჭანდრის კოლმეურნეობაში და დაწვრილებით შეისწავლა საქმის ვითარება.

პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე დიდი მსჯელობა გაიმართა ჭანდრის კოლმეურნეობის გამო. რაიკომის მიერ მივლინებულ მუშაკთა ჯგუფმა წარმოადგინა დასაბუთებული დასკვნა, რომელშიც გამოაშკარავებული იყო კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები, აგრეთვე ნაჩვენები იყო ამ ჩამორჩენის გამოსწორების გზები და საშუალებები.

— კოლმეურნეობის წინ წამოსაწევად, — ნათქვამი იყო დასკვნაში, — აუცილებელია მისი განმტკიცება ხელმძღვანელი კადრებით.

— რას იტყვით, ამხანაგო რეზო? — მიმართა რაქვიაშვილს რაიკომის მდივანმა, — ჩაუდგებით თუ არა სათავეში ჭანდრის კოლმეურნეობას, რომ იგი მოწინავეთა რიგებში ჩააყენოთ?

— თუ კი რაიკომი ნდობას მიცხადებს და დარწმუნებულია, რომ თავს გავართმევ საქმეს, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ გავამართლო ეს ნდობა.

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის რაიკომის რჩევა და არტელის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს რ. რაქვიაშვილი, რომელსაც მანამდე იცნობდნენ როგორც გამოცდილ პარტიულ მუშაკს.

ჭანდრელი კოლმეურნეები არჩევანში არ შემცდარან. რაქვიაშვილის ხელი მალე დაეტყო კოლმეურნეობას. არტელის გამგეობამ პარტბიუროსთან ერთად შეადგინა კოლმეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა და გაჩაღდა ბრძოლა ამ გეგმის განსახორციელებლად.

პარტიული ორგანიზაციისა და არტელის გამგეობის დიდი მუშაობის შედეგებმა სულ მალე იჩინა თავი. კოლმეურნეობის შემოსავლმა 3 მილიონ მანეთს გადააჭარბა. გადიდდა შრომადღის ანაზღაურება. ამაღლდა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა. გაიზარდა მარცვლეულისა და ყურძნის მოსავლიანობა. იმატა წველადობამ.

ახლა ჭანდრის კოლმეურნეობა ხშირად მოჰყავთ სანიმუშო და კარგად მოწყობილი მეურნეობის მაგალითად. და როცა ვინმე იკითხავს:

— სად მოჰყავთ ყურძნის უხვი მოსავალი? — სიამაყით მიუგებენ:

— ჭანდარში!

— სად იღებენ მეტ რძეს?

— რა თქმა უნდა, ჭანდარში!

— სად იღებენ მეტ ხორბალსა და სიმინდს?

— ჭანდარში! — არის უცვლელი პასუხი.

ასე ბევრს ნიშნავს უნარიანი, საქმის მცოდნე ხელმძღვანელი კოლმეურნეობაში. ამ აზრს კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის მაგალითი.

• • •

წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა ბაკურციხის კოლმეურნეობა. რაიკომში მომწიფდა აზრი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის განმტკიცების შესახებ. არჩევანი შეჩერდა შალვა ნიბლაძეზე. რაიკომი მას იცნობდა როგორც კარგ ორგანიზატორს, გამოცდილ და მცოდნე მუშაკს, რომელსაც შეიძლება ენდო. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა საბჭოთა ორგანოებში და კარგად იცნობდა სოფლის მეურნეობას. რაიკომში მან პირდაპირ განაცხადა:

— ვიცი, რომ პარტიამ დიდი ბრძოლა გააჩაღა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. მე ამ ბრძოლის გარეშე ვერ დავრჩები, გთხოვთ გამიშვათ ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

საერთო კრებაზე კოლმეურნეები ხალისით როდი შეხვდნენ რაიკომის რჩევას შალვა ნიბლაძის არტელის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

— შეიძლება არც გამოგვადგეს, განა ცოტა გვინახავს სიტყვახვავრიელი და საქმეცარიელი თავმჯდომარე! — ეჭვს გამოთქვამდა ზოგიერთი.

პარტიის რაიკომმა როდი დაადა კოლმეურნეებს თავისი წინადადება, არჩია ერთხელ კიდევ კარგად მოეფიქრებინათ და შემდეგ კრებაზე გადაეწყვიტათ საკითხი. ასეც მოიქცნენ. კოლმეურნეებმაც გაიკითხ-გამოიკითხეს, გულდასმით აწონ-დაწონეს და მხოლოდ ამის შემდეგ აირჩიეს შალვა ნიბლაძე თავმჯდომარედ.

— თავმჯდომარედ კი ავირჩევთ, მაგრამ ვნახოთ, საქმეში როგორი იქნება! ჯაცს სიტყვა კი არა, საქმე გამოიჩენს! — ამბობდნენ ისინი.

ეს შალვა ნიბლაძემაც კარგად იცოდა: მთავარია ცოცხალი საქმე, ხალხის ნდობის მოპოვება.

პირველი დღიდანვე გამგეობის ახალი თავმჯდომარისათვის ნათელი გახდა, რომ კოლმეურნეობა ძალიან ჩამორჩენილი იყო. პირუტყვს კეთილმოწყობილი ბინები არ ჰქონდა, ცოტას იწველიდნენ ძროხები. ბარაქიანი მიწა მცირე მოსავალს იძლეოდა. დაბალი იყო შრომადღის ღირებულება, ბევრი კოლმეურნე სამუშაოდ არ გამოდიოდა.

ერთი სიტყვით, სახარბიელო მდგომარეობა ვერ იყო. მაგრამ შალვა ნიბლაძე სიძნელეებს როდი შეუშინდა. როგორც კომუნისტს შეჰფერის, მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი კოლმეურნეობაში წესრიგის დამყარებას.

მტკიცე კონტროლი დამყარდა შრომის. აღრიცხვასა და საკოლმეურნეო სახსრების ხარჯვაზე, დაწესდა გამომუშავების ახალი ნორმები და განხორციელდა ღონისძიებანი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

არტელის ახალი თავმჯდომარის სახით კოლმეურნეებმა სულ მალე დაინახეს საქმიანი კაცი, დაუჯერეს და ენდნენ მას. და როგორც კი დაინახეს, რომ მეურნეობა აღმავლობის გზით მიდის და შემოსავალს იძლევა, ხალისით დაიწყეს სამუშაოდ გამოსვლა. გაიზარდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ეს იყო პარტიული ორგანიზაციისა და კოლმეურნეობის ახალი ხელმძღვანელობის პირველი წარმატება.

— ჩვენი, პარტიული ორგანიზაციისა და გამგეობის პირველი ნაბიჯი, — მოგვითხრობს შალვა ნიბლაძე, — კადრების სწორად შერჩევა და განაწილება იყო. ბრიგადების, რგოლებისა და მეცხოველეობის ფერმების ხელმძღვანელებად შევარჩიეთ ყველაზე გამოცდილი კომუნისტები და კომკავშირელები, მოწინავე უპარტიო კოლმეურნეები. პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გააჩაღა. კრებებზე, ლექციებში, მოხსენებებსა და საუბრებში კოლმეურნეებს განვუმარტავდით, რომ თუ ყველა პატიოსნად და მუყაითად იშრომებს, შემოსავალი გაიზრდება და შრომადღეებზეც მეტს მიიღებენ. კედლის გაზეთში, საველე ფურცლებში შექებული იყვნენ მოწინავენი, ხოლო ზარმაცებს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. რაიკომს ყოველთვის ვახსოვდით: რჩევას გვაძლევდა, მიგვითითებდა, გვეხმარებოდა. რაიკომის მდივნები და სხვა მუშაკები ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან. პარტიული ორგანიზაციის ანგარიში რაიკომის ბიუროს სხდომაზე მოისმინეს.

ახლა ბაკურციხის კოლმეურნეობას ვერ იცნობთ, ისე გამოიცვალა და დაწინაურდა. არტელში ცხოვრება დუღს და გადმოდის. შენდება საკოლმეურნეო კულტურის სახლი. სოფელში გამოყვანილია წყალსადენი. აიგო კეთილმოწყობილი სადგომები პირუტყვისათვის.

გაიზარდა ყურძნის მოსავლიანობა. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 66 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. წელს ხორბლისა და სიმინდის მოსავალს უკეთესი პირი უჩანს. თუ 1953 წელს ერთ ძროხაზე 391 კილოგრამი რძე მიიღეს, შარშან ამ მაჩვენებელმა 2.033 კილოგრამს მიაღწია.

ასეთია ბაკურციხის კოლმეურნეობის წარმატებანი უკანასკნელ

მარადიული და ურღვევია საბჭოთა კავშირ-ალბანეთის მეგობრობა

ამხ. ფ. დ. დუმბაძის შეხვედრა თბილისის ჟურნალისტებთან

17 ივნისს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ მოაწყო თბილისის ჟურნალისტთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთან, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პ დივანთან ამხ. ფ. დ. დუმბაძესთან.

ამხ. დუმბაძემ დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოგზაურობაზე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში, ამ მოძმე ქვეყნის მშრომელებთან შეხვედრებზე, მხურვალე სიყვარულის, პატივისცემისა და ერთგულების გრძნობებზე, რომლებითაც ალბანელი ხალხი გამსჭვალულია თავის ყველაზე დიდი მეგობრის — საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი.

ხელგაშლილად, გულღიად, უდიდესი სიხარულის გრძნობით შეხვდა ალბანელი ხალხი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს. ათეულ ათასობით მცხოვრები გამოვიდა 25 მაისს ქუჩებში, რათა მისალმებოდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია იყო ქალაქებში ტირანაში, შკოდერში, კორჩაში, დაათვალიერა ქარხნები და ფაბრიკები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სახელმწიფო მეურნეობები, სამეცნიერო-საკვლევი და უმაღლესი სასწავლებლები. დელეგაციის წევრები შეხვდნენ სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს — მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის, სახალხო ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

— ამ მეგობარ ქვეყანაში ყოფნამ, — თქვა ამხ. დუმბაძემ, — თვალნათლივ დაგვარწმუნა, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა წარსულში ჩამორჩენილმა ალბანეთმა სახალხო ხელისუფლების წლებში. როგორც ცნობილია, ალბანელი ხალხი მრავალი საუკუნის განმავლობაში განიცდიდა თურქ დამპყრობთა ბატონობას, 1939 წლიდან ალბანეთში იტალიელი ფაშისტი დამპყრობლები ბატონობდნენ. და როცა ალბანეთმა 1944 წელს მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იგი მეტად ღარიბი ქვეყანა იყო ნახევრად ფეოდალური წყობილებით. ისე, რაც გააკეთეს ალბანელებმა განვლილ 15 წელიწადში, გულწრფელ აღტაცებას იწვევს.

ამხ. დუმბაძემ ილაპარაკა შრომისმოყვარე და მამაცი ალბანელი ხალხის წარმატებებზე ახალი ცხოვრების მშენებლობაში. სახალხო ხელისუფლების წლების განძილზე ალბანეთში შექმნილია სამამულო მრეწველობა. აშენდა ათობით მსხვილი სამრეწველო საწარმო. ახლა ალბანეთი აწარმოებს 18-ჯერ მეტ მრეწველობის პროდუქციას, ვიდრე ომამდე. დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ალბანეთის სოფელში წაიშალა მიჯნები. 15 წელიწადში აქ მოხდა ნამდვილი რევოლუცია. სახელმწიფო სოციალისტური სექტორი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეადგენენ მთელი სახნავ-სათესი ფართობის 78,5 პროცენტს.

კულტურის შუქმა მკაფიოდ გაანათა ალბანეთის ყველა კუთხე. იმ ქვეყანაში, სადაც წინათ მცხოვრებთა 80 პროცენტზე მეტი უწიგნური იყო, ახლა სწავლობს ყოველი მეექვსე კაცი.

— ალბანეთის მშრომელები,— ამბობს ამხ. დუმბაძე, — საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ შემოქმედებითი ძალებით აღსავსენი. სოციალიზმი მტკიცედ მიდის წინ განახლებულ ალბანეთში. ნათელი, სხივოსანი ხვალინდელი დღე მოელით სახალხო ალბანეთის მშრომელებს უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე, განუწყვეტლივ მზარდი მრეწველობა, ალბანელი მუშების თავდადებული შრომა სახავენ მისი ინდუსტრიის სწრაფი ზრდის, დიდად განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად ალბანეთის გადაქცევის მშვენიერ პერსპექტივებს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ბევრი ძვირფასი რჩევა მისცა ალბანეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მან არაერთგზის აღნიშნა, რომ ისეთ ნაყოფიერ ქვეყანაში, რომელსაც აქვს შესანიშნავი ჰავა, მზე და სითბო, შეიძლება მოიყვანონ უძვირფასესი, დიდად რენტაბელური კულტურები. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც ალბანელ ამხანაგებს ურჩევდა მოეყვანათ მეტი ყურძენი, ხილი, ციტრუსოვანთა ნაყოფი, დაფნა, ხშირად მოჰყავდა საბჭოთა საქართველოში მევენახეობის მეხილეობის, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარების მაგალითები. ეს მაღალი შეფასება, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. დუმბაძემ, საქართველოს მშრომელებს ავალებს უფრო მეტი გულმოდგინებით იშრომონ ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ამხ. დუმბაძე ამბობს, რომ ალბანელი ხალხი მთელ თავის ისტორიულ გამარჯვებებს უკავშირებს ალბანეთის შრომის პარტიას, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს ხალხი სოციალიზმის მშენებლობის გზით, გადაჭრით იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობის განმტკიცებისათვის, სოციალისტური ბანაკის დარაზმულობისათვის.

სახალხო ალბანეთის მშრომელები დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის დახმარებას მათი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. „ალბანელ ხალხს, — ეუბნებოდა ამხ. ენვერ ხოჯა საბჭოთა სტუმრებს, — საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მიაჩნია თავის ყველაზე უფრო ძვირფას განძად. ალბანეთში ყველა, დიდით პატარამდე, მხურვალე სიყვარულითა და დიდი მადლობით ეპყრობა თქვენს სახელოვან სამშობლოს, რადგან საბჭოთა კავშირთან არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის უდიდესი გამარჯვებანი. ჩვენი მეგობრობა გრანიტზე უფრო მტკიცე და ისევე სამარადისოა, როგორც ჩვენი მთები. ალბანელი ხალხი, ჩვენი პარტია და მთავრობა თვალისჩინივით უფრთხილდებიან საბჭოთა კავშირთან მეგობრობას და იგი მიაჩნიათ ჩვენი ხალხის განთავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების გადამწყვეტ ფაქტორად“.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნა ალბანეთში გახდა ალბანელთ-საბჭოთა კავშირის სულ უფრო მზარდი მეგობრობის ამაღელვებელი დემონსტრაცია. აუწერელია ის სიხარული და ენთუზიაზმი, რომლებითაც ალბანეთის მშრომელები ხვდებოდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, ყველა სტუმარს სსრ კავშირიდან. მეტად შორი სოფლებიდან, მაღალი მთებიდან ჩამოდიოდნენ ადამიანები, რათა მისალმებოდნენ დიდი საბჭოთა ხალხის წარმოგზავნილებს.

— ჩვენ, საბჭოთა ხალხის წარგზავნილები, — განაცხადა დასასრულ ამხ. დუმბაძემ, — არასოდეს არ დავივიწყებთ ალბანეთში ყოფნის სასიხარულო დღეებს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობის, მძლავრი სოციალისტური ბანაკის ერთიანობისა და დარაზმულობის შემდგომ გაძლიერებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ამხ. დუმბაძის სიტყვა და მხურვალე ტაშით შეხვდნენ მის დასკვნით სიტყვებს, რომ დღითიდღე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ორი მოძმე ხალხის მეგობრობა. (საქდესი).

სიყვარულით, ენერგიით

გარეთ წვიმამ მოუხშირა, შხუილი გაძლიერდა, მაგრამ საავადმყოფოსაკენ მომავალი ცხენების ფეხის ხმა მაინც ისმოდა. უკანამხრეელმა მეცხვარეებმა პალატაში აბალგაზრდა მშობიარე ქალი სალომე ჩიტიშვილი შემოიყვანეს. ავადმყოფს ფეხდაფეხ მოჰყვა ექიმი გინეკოლოგი თინა იმნაძე. მეცხვარის მეუღლეს მშობიარობის შემდეგ სისხლის დენა დამართოდა და სასწრაფოდ ქირურგიული ჩარევა იყო საჭირო. მთიდან ამის შესახებ რაიონულ საავადმყოფოს აცნობეს. უკანამხარეში მისულა თინა მშობიარესთან, მძიმე მდგომარეობა უნახავს და ტელეფონით დაკავშირებია ლენინგორის საავადმყოფოს, რომ სასწრაფო დახმარების მანქანით საოპერაციო ინსტრუმენტები გამოეტანათ ლარგვისის საავადმყოფოში, სადაც ოპერაცია უნდა გაკეთებულიყო. შეატყობინა ეს გინეკოლოგმა რაიონს და თვითონ ღამის პირველ საათზე ცხენით გამოჰყვა მეცხვარეებს.

ოპერაციამ მთის სოფელში მშვენივრად ჩაიარა. კოლმეურნე ქალი სიკვდილს გადარჩა, მოკეთდა და მალე საყვარელ სოფელს დაუბრუნდა.

ლანჩხუთელ თინა იმნაძეს, რომელსაც საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიუღია, 1955 წელს დაუმთავრებია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საკვლევლო ფაკულტეტი. ამ დროიდან იგი ლენინგორის რაიონში მუშაობს.

თინა რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგიურ კაბინეტში ვნახეთ. ბამბასავით თეთრი, სათუთად დაუთოებული ხალათი შუქს აფენდა სათნო, მომღიმარ სახეს. ახალგაზრდა ექიმმა ავადმყოფთა ისტორიები გვერდით გადადო და გულთბილი საუბარი გაგვიბა.

— მახსოვს მუშაობის პირველი დღეები, როცა აქაურ პატარა მოჯირითე ცხენზე პირველად შევჯექი და ავადმყოფთან სოფელ გეხავში გავეგზავრე. მაშინ უცნობ სოფელში, მთაში გაცილებით ძნელი იყო ჩემთვის მუშობა, მაგრამ გამბედაობა მყოფნიდა და ინსტიტუტში შეძენილი ცოდნა მანუგეშებდა, — ჰყვება თინა თავის თავგადასავალს და ამ სიტყვებში იგრძნობა გულახდილობა, პროფესიისადმი, მინდობილი საქმისადმი სიყვარული.

— თინა! ოძისში რა შემთხვევა იყო, ღამე რომ მეგობრის სუფრიდან აგაყენეს? — ჩაერია ლაპარაკში კომკავშირის ლენინგორის რაიკომის მდივანი ე. ბითაროვა, რომელმაც ჩვენთან მანამდე ბევრი თბილი სიტყვა თქვა ახალგაზრდა გინეკოლოგის შესახებ.

— ხომ იცით, ოძისი დუშეთის რაიონს ეკუთვნის, მაგრამ ლენინგორთან ახლოა და დახმარებისათვის ხშირად მოგვაკითხავენ ხოლმე. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვამ კი რაიონები არ იცის, ყველა მშრომელის სიცოცხლე ჩვენთვის ძვირფასია. მგონი ასე მსჯელობენ დუშეთელი ექიმებიც. საქმე აი ასე იყო. მასწავლებელ ქალს ე. გურასპაშვილს მშობიარობის შემდეგ სისხლის დენა დაწყებოდა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. რადგან იქ გინეკოლოგი არ ჰყავდათ. შემატყობინეს. უმალვე მანქანით საავადმყოფოს ჩავუარე, ინსტრუმენტები წავიღე და ავიღ-მყოფს დახმარება აღმოვუჩინე. ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ ჯანმრთელობის განყოფილების პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის შემადგენელ მეცადინეობას ღამეს სწარით. წრეში მხოლოდ ერთი კომკავშირელია — თინა ამბროსის ასული იმნაძე, პროპაგანდისტ გ. კალანდაძის მიერ დასმული კითხვების ირგვლივ ცხარე მსჯელობაა. თინა ღრმად, თანმიმდევრულად ლაპარაკობს. ვუსმენთ ექიმის შინაარსიან სიტყვებს და ვფიქრობთ — ყველა პროფესიის ადამიანი ასე ღრმად უნდა მსჯელობდეს პოლიტიკურ საკითხებზე.

როცა მეცადინეობიდან დაბრუნდით, პარტიის ლენინგორის რაიკომში შეგვდეთ. აქ გვაცნობეს, რომ თინა არა მარტო საუკეთესო მსმენელია, იგი შესანიშნავი პროპაგანდისტი და აგიტატორიც ყოფილა. იგი კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრად აურჩევიათ. თინა სიყვარულით ასრულებს კომკავშირულ დავალებებს. ბევრ სოფელში იგონებენ თინას მიერ სამედიცინო თემებზე ჩატარებულ შინაარსიან ლექციებს.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: თინა იმნაძე.
ფოტო ავტორისა.

ორი რესპუბლიკის კოლმეურნეთა ჯეჯიგრეგა

სოფელ ბარალეთის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი არტელია ახალქალაქის რაიონში. ორი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი სოციალისტურ შეჯიბრებას ბარალეთის კოლმეურნეობასა და სომხეთის სსრ არტიკის რაიონის სოფელ ვართაქარის კოლმეურნეობას შორის.

მას შემდეგ შეჯიბრების მონაწილეთა წარმომადგენლები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, სწავლობენ მოწინავე მეთოდებს.

7 ივნისს ვართაქარის კოლმეურნეობის დელეგაცია ეწვია ბარალეთს. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

კოლმეურნეთა კრებაზე შემოწმდა გასულ წელს და შვიდწლედის პირველ წელს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

ვართაქარის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჯ. გალუსტიანის, მოწინავე მწველავის ეკნია ავეტისიანის, ბარალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხ. მამულიანის, წარჩინებული მწველავების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ემა კუზმინიანის, ანა ხმალაძისა და ტასო ზედგინიძის გამოსვლებით გამოირკვა, რომ ორივე კოლმეურნეობა გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

ბარალეთელებმა ჯასულ წელს ერთ საფურაუე ძროხაზე 1948 კილოგრამი რძე მიიღეს და ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე 150 ცენტნერი რძე აწარმოეს. ამ მხრივ ვართაქარელები ჩამორჩნენ ბარალეთელებს, მაგრამ სამაგიეროდ, გიმარჯვეს ხორცის წარმოებაში, რასაც ისინი მეცხვარეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის აღმავლობი ი აღწევენ.

ბარალეთელ კოლმეურნეთა ვალდებულება ამ წელს ერთ საფურაუე ძროხაზე მიიღონ 2.200 კილოგრამი რძე, ვართაქარელები კი 2.000 კილოგრამისათვის იბრძვიან. 5 თვეში ბარალეთელებს მიღებული აქვთ 800 ლიტრამდე რძე, ვართაქარელებს კი ცოტა ნაკლები.

ორივე მხარემ გულდასმით შეამოწმა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, ბევრი რამ მოიწონეს ერთმანეთისა და გადაწყვიტეს წარმოებაში მათი დანერგვა.

ჯ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ყოველწლიურად იზრდება ხვავი და ბარაქა ბაკურციხის კოლმეურნეობაში. ეს დიაგრამა მკაფიოდ მეტყველებს იმ დიდ წარმატებებზე, ბაკურციხელებმა 1958 წელს რომ მოიპოვეს.

მაგრამ ისინი მიღწეულს როდი სჯერდებიან. წელს მათ იკისრეს საშუალოდ ერთ ძროხაზე მოწველონ 2.200 კილოგრამი რძე, ხოლო სიმინდის ნათესების თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 100 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

ბაკურციხელი კოლმეურნეები ახლა თავდადებით შრომობენ ამ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

შრომითი ბრძოლა მამაცობა

ხულო, სოფელ ტუნაძეების კოლმეურნეობაში ენერგიულად შრომობენ შვიდწლედით დასახული პროგრამის განხორციელებისათვის. კოლმეურნეობის მრავალმხრივ საქმიანობაში ღირსეული წვლილი შეიტანეს კომკავშირელებს. სად არ ნახავთ მათს გამრჯე ხელს — თამბაქოს პლანტაციებში თუ სიმინდის ყანებში, ვენახებსა თუ მეცხვარეობის ფერმებში. ისინი ყველგან მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითს გვიჩვენებენ.

მუყაითი შრომით თავი გამოიჩინეს კომკავშირელებმა თინა, ნოდარ, ნათელა, თამარ, ოთარ ბერიძეებმა, ეროხუნა, ალთანდილ, თინა, არჩილ, ოთარ ჭელიძეებმა, შუშანა, ციალა, ვარდო, შალვა, გიორგი და ილგუჯა ხარაბაძეებმა. 28 კომკავშირელს წელს მოსავლად მიჩენილი აქვს 6,5 ჰექტარი თამბაქო, 9 ჰექტარზე მეტი სიმინდი, 14 ჰექტარი ქარტოფილი. კომკავშირელებმა პირობა დადეს საშუალოდ ჰექტარზე ბიგმით გათვალისწინებულთან შედარებით მოიყვანონ ორი ცენტნერით მეტი თამბაქო, 3 ცენტნერით მეტი სიმინდი, 5 ცენტნერით მეტი თივა და სხვ.

ახალგაზრდა პატრიოტები ახლა ყველაფერს აკეთებენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

ზ. ფარსაველიძე.

მშრომელთა წერილები

★

ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის ფეიერვერი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ შრომაში. მაღალნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც მურმან ტყებუჩავა ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებს. ენერგიულად შრომობენ აგრეთვე მეხალიჩეები კ. კუნნეცოვა, ლ. კვარკვაია, ნ. დოლენკო, შ. კიკალეიშვილი, ნ. გვარამია და სხვები.

ნ. კუბავა.

* * *

მშრომელთა დეპუტატების თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომთან ჩამოყალიბდა სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც სოფლად აშენებს კლუბებს, ფერმებს, ამბონებს, სასადილოებს და სხვა კულტურულ და სამეურნეო ნაგებობებს.

ვ. კუტალაძე.

* * *

თიანეთის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატმა მოაწყო ნახევრადმექანიზებული ბაურის ქარხანა, რომელიც მიმდინარე წელს გამოუშვებს 500 ათას ცალ ბაურს.

ი. ბეჟანიშვილი.

* * *

ფოთის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ენერგიულად იბრძვის მიმდინარე წლის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით განაღდებისათვის, ვაგონების გადამუშავების ნორმების შესრულებისა და საწვავი მასალების დაზოგვისათვის. კოლექტივი დიდი გადაჭარბებით ანაღდებს ორთქლმავლების გარბენის გეგმებს.

უკანასკნელ ხანს მათ დაზოგეს 50 ტონაზე მეტი საწვავი, მიაღწიეს 13.500 მანეთის ეკონომიას, ხოლო ავადმყოფი ორთქლმავლების რაოდენობა შეამცირეს 2,3 პროცენტით.

ბ. ძველაია.

* * *

სამტრედიის სავაგონო დეპოს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 22 ვაგონი შეაკეთა, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 4,2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 8,5 პროცენტით და შვიდწლედის ფონდში 319.000 მანეთი შეიტანა.

მევაგონეებმა იკისრეს წლიური გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდონ.

ბ. გოგიტიძე.

წლებში. ბაკურციხელები ამ წარმატებებს შემდგომ გაამრავლებენ მიმდინარე შვიდწლედში.

* * *

ყურძნისა და სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ყველას უსწრებს ვაზისუბნის კოლმეურნეობა. მაგრამ იგი ყოველთვის მოწინავე როდი იყო. არც ისე დიდი ხნის წინათ ვაზისუბნელები ყურძნისა და მარცვლეულის დაბალ მოსავალს იღებდნენ.

ვაზის სოფელი ვაზს ემღეროდა. არც მეცხოველეობაში იყო სახარბიელო მდგომარეობა.

შეიკრიბნენ კოლმეურნეები საერთო კრებაზე და შეუდგინენ ჩამორჩენის გამოსწორების გზების გამონახვას. ყველა იმ აზრს დაადგა, რომ საჭირო იყო კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარის არჩევა. მაგრამ ვინ აირჩიონ?

— ჩვენ ისევ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მდივანი მიხეილ იაშვილი თუ გამოგვადგება, — თქვეს კოლმეურნეებმა და ეს თავიანთი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს. ასე მოხდა მიხეილ იაშვილის არტელის თავმჯდომარედ არჩევა.

პარტიულმა ორგანიზაციამ და არტელის გამგეობამ კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები მოფიქრებულად გაანაწილეს საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. დიდი ყურადღება მიექცა შრომის ორგანიზაციის უკეთ დაყენებას, პრაქტიკაში მოწინავე გამოცდილების დანერგვას.

მიხეილ იაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა ორგანიზატორმა და გულისხმიერმა ხელმძღვანელმა. იგი გატაცებულია მშენებლობით. მისი ინიციატივით, კომუნისტებისა და ყველა კოლმეურნის აქტიური მონაწილეობით ბევრი რამ ახალი აშენდა სოფელში, მათ შორის: კულტურის სახლი, შენობა სასოფლო საბჭოსათვის, წყალსადენი, ბინები მეცხოველეობის ფერმებისათვის.

ვაზისუბანი — თავისი სახელის სადიდებლად მართლაც ვაზის უბანია. ყოველწლიურად იზრდება ალაზნის ველის ბარაქა: ყურძნის, ხორბლისა და სიმინდის მოსავალი.

• • •

ვინც ახაშენს ნახავს, მხოლოდ მას შეუძლია თვალნათლივ წარმოიდგინოს, თუ რა დიდი გარდატეხა მოხდა ამ კოლმეურნეობაში სექტემბრის პლენუმის შემდეგ.

— თვალდათვალ იცვლის სახეს ჩვენი სოფელი, — გვეუბნება ახაშნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ჩეკურიშვილი, — კოლმეურნეები ახლო-მახლო კორაკებიდან ძირს ჩამოდიან და გურჯაან-თელავის გზატკეცილის გასწვრივ სახლდებიან.

გზატკეცილის გაყოლებით ასობით ახლადნაგები ორსართულიანი სახლი ჩამწკრივებულა. ყოველი სახლი, რომელიც თითქოს მოშრიალე ნარგავების მწვანე ჩარჩოშია ჩასმული, კოხტად და ლაზათიანად გამოიყურება.

მეოთხე წელია, რაც კოლმეურნეობას მიხეილ ჩეკურიშვილი უდგას სათავეში. მანამდე იგი რაიონული საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების გამგედ მუშაობდა, მაგრამ სოფელში დაბადებული და აღზრდილი კაცი საკოლმეურნეო წარმოებასაც ცუდად როდი იცნობდა. ეს ცოდნა დიდად გამოადგა საარტელო მეურნეობის უნარიანად გაძღოლაში, ჩამორჩენილი კოლმეურნეობის ფეხზე დაყენებაში.

— შარშან ერთ ძროხაზე 1.500 კილოგრამზე მეტი რძე მივიღეთ, — აცხადებენ ახაშნელები, — ეს არც ისე ბევრია, მაგრამ აბა ნახეთ, რა იყო 1953 წელს, როცა ერთი ძროხის წველადობა 200 კილოგრამს არ აღემატებოდა.

— წინათ არც მევენახეობაში გვქონდა საქმე კარგად, — უმატებენ სხვები, — არ იქნა და არა, ჰექტარზე 40 ცენტნერზე მეტი ყურძენი ვერ მოვიყვანეთ. შარშან კი უამინდობაც იყო, სეტყვამაც დაგვარტყა, მაგრამ ჰექტარზე 66 ცენტნერი ყურძენი მაინც მოვიყვანეთ.

მიხეილ ჩეკურიშვილს როდი დავიწყებია საგზაო განყოფილებაში მუშობა. იგი კარგი გზების დიდი მოყვარულია. ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩეკურიშვილი მოელაპარაკა კოლმეურნეებს და გადაწყვიტეს ასფალტი დააგონ სასოფლო გზებზე. ახლა დიდი მუშაობაა გაჩაღებული სოფლის ქუჩების მოსაასფალტებლად.

— მალე მთელ სოფელს ისე შემოივლის კაცი, რომ ფეხი აო დაესვრება, — გვეუბნება ჩეკურიშვილი.

სოფლის ქუჩების კეთილმოწყობასთან ერთად კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობას. უკანასკნელ ხანებში ახაშენში აიგო საკოლმეურნეო კლუბი, მაღაზია, საპარიკმახერო, საყოფაცხოვრებო კომბინატი სხვადასხვა სახელოსნოებით.

ეს წარმატებანი ახაშნელ კოლმეურნეებს ძალასა და ენერგიას მატებენ, ხალისსა და მონდომებას უმატებენ.

• • •

აქამდე ჩვენ მხოლოდ კოლმეურნეობათა ახალი თავმჯდომარეების უნარიანი მუშაობის მაგალითები მოვიყვანეთ. მაგრამ არტელის ყველა ძველ თავმჯდომარეზე როდი ითქმის ცუდი.

თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ვლადიმერ ოსოშვილი ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. ფხიანი მუშაობითა და საქმისადმი დიდი ერთგულებით მან კოლმეურნეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

უკანასკნელ წლებში ჩუმლაყის კოლმეურნეობა ოთხჯერ იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ფართო ჩვენებით.

კოლმეურნეობის ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავს მეევნახეობას. 240 ჰექტარზეა გადაჭიმული საკოლმეურნეო ზვრები. ყოველწლიურად იზრდება ვენახის ფართობი და ყურძნის მოსავლიანობა. განუხრელად ვითარდება მარცვლეულის, კერძოდ, სიმინდის წარმოება, რაც ხელს უწყობს მეცხოველეობის აღმავლობას.

— წინათ ჩვენი კოლმეურნეობა ცუდად როდი მუშაობდა, — ამბობს ოსოშვილი, — მაგრამ პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს სრულიადაც არ არის საკმარისი. შვიდწლედში ბევრი დიდი დავალება უნდა შეკრებულოთ. ჩვენ ამ დავალებებს არ დავჯერდით და დამატებით გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი ვიკისრეთ.

შეავასრულებთო? განა ამას კითხვა უნდა! როდის იყო, რომ ჩუმლაყელებმა იკისრეს და არ შეასრულეს. ყურძენსაც მეტს მოვიყვანთ, ხორბალსაც და სიმინდსაც. ველადობას ერთ ძროხაზე 2.000 კილოგრამს ბევრად გადავაჭარბებთ. ეს მარტო ჩემი სიტყვები არ გეგონოთ. ასე ამბობს და ამისთვისვე შრომობს მთელი ჩვენი სოფელი.

• • •

სოფლად აღიზარდნენ და დაწინაურდნენ შესანიშნავი კადრები. კოლმეურნეობების შემოწმებული და უნარიანი კადრებით განმტკიცება ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, რომელსაც რაიონული პარტიული ორგანიზაცია საკოლმეურნეო წარმოების მძლავრი აღმავლობისათვის იყენებს. კოლმეურნეობათა გამსხვილებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის განხორციელებისთანავე რაიკომმა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დიდი ჯგუფი — აგრონომები, ზოოტექნიკოსები, მექანიზატორები — სოფლად გაგზავნა სამუშაოდ. მათგან ბევრი არჩეულია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად, წამყვანებულია ბრიგადირად, მეცხოველეობის ფერმისა და რგოლის ხელმძღვანელად.

ამჟამად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თითქმის ნახევარს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება აქვს. არტელის რამდენიმე თავმჯდომარე საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკოსია, რომლებსაც შესანიშნავი გამოცდილება და დიდი ორგანიზატორული ჩვევები აქვთ შეძენილი.

საარტელო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე ბრიგადირებად, მერგოლურებად და მეცხოველეობის ფერმების ხელმძღვანელებად მუშაობენ მოწინავე კომუნისტები და კომკავშირელები, გამოცდილი უპარტიო კოლმეურნეები.

კადრების შერჩევითა და განაწილებით რაიკომი საქმეს დამთავრებულად როდი თვლის. იგი იმისათვის ზრუნავს, რომ ყველა კოლმეურნეობის სათავეში იდგეს უნარიანი და პოლიტიკურად გამოწრთობილი ხელმძღვანელი. ამიტომ კადრების საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების, მათი ორგანიზატორული ჩვევებით შეიარაღების საკითხები პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია. ამ მიზნით რეგულარულად ეწყობა არტელის თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მერგოლურების, მეცხოველეობის ფერმების ხელმძღვანელების თათბირები და სემინარები, რომლებზეც განიხილავენ საკოლმეურნეო წარმოების ძირეულ საკითხებს.

კადრების სწორად აღზრდისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ ინსტრუქტაჟს. ადგილებზე რაიკომის მუშაკები საქმიანად ესაუბრებიან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, აქტივისტებს, ურჩევენ მათ, თუ როგორ მოაწყონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში.

კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა ერთდროული ღონისძიება როდია. ეს მუშაობა უნდა წარმოებდეს განუწყვეტლივ, ყოველდღიურად. რაიონში ჯერ კიდევ არიან ისეთი კოლმეურნეობები, ბრიგადები და მეცხოველეობის ფერმები, სადაც მთლიანად ვერ იყენებენ არსებულ დიდ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, შეფერხებებია საკოლმეურნეო მშენებლობაში. საჭირო იქნება ასეთი კოლმეურნეობების, ბრიგადებისა და მეცხოველეობის ფერმების კადრების განმტკიცება.

ეს კარგად ესმის პარტიის რაიკომს და მზრუნველობით ზრდის კადრებს — საკოლმეურნეო წარმოების ამ ოქროს ფონდს.

კოლმეურნეობებისა და პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში პარტიის რაიკომმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი მუშაობის მეთოდები და ფორმები საფასებით სრულყოფილი და უნაკლოა.

ახლა, როცა სკკპ XXI ყრილობამ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები დასახა გადასაწყვეტად. აუცილებელია პარტიის რაიკომისა და სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა აყვანილ იქნას ახალ, კიდევ უფრო მაღალ დონეზე.

ვლ. შავგულიძე.
ზ. ჯაბასპიშვილი.

ყოველი მხრიდან

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 17 ივნისი. (საკ.სინ. კორ.). დღეს ინგლისის დელეგაციის რეზიდენციაში მოწყო სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალური შეხვედრა.

კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნდა შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ნათქვამია, რომ ოთხი მინისტრი შეთანხმდა შემდეგი არაოფიციალური შეხვედრა მოეწყოს ხვალ, 18 ივნისს, 15 საათსა და 30 წუთზე სსრ კავშირის დელეგაციის რეზიდენციაში.

ა. ა. გრომიკო შეხვდა ლ. ბოლცს

ჟენევა, 18 ივნისი. (საკ.სინ. კორ.). გუშინ საღამოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს დოქტორ ლ. ბოლცს. გაგრძელდა კონსულტაციები ჟენევის თათბირის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სუბარში მონაწილეობა მიიღეს ვ. ა. ზორინმა, ი. ი. ილიჩოვმა, ო. ბ. სელიანინოვმა, ო. ვინცერმა, გ. ტეპლიცმა, ბ. ფლორინმა, ვ. მაისნერმა და გ. კეგელმა.

მოსკოვის გამოფენა სჯობს ბრიუსელის გამოფენას

ბერლინი, 17 ივნისი. (საკ.სინ). დღეს ბერლინის დემოკრატიული გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ ცნობებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის გახსნის შესახებ მოსკოვში. „ნოიეს დოიჩლანდი", ათავსებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას გამოფენის გახსნაზე, აღნიშნავს, რომ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა მიმდინარე წლის პირველ ხუთ თვეში საბჭოთა მრეწველობამ 105 პროცენტით შეასრულა.

გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგს" მოსკოვიდან გამოგზავნილ ცნობაში მოჰყავს მონაცემები ამ გამოფენაში ასობით სამეწველო საწარმოს, სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტის, აგრეთვე წარმოების მოწინავეთა და ხუმონაწილეობის შესახებ.

გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ მოსკოვის გამოფენა მოცულობით მნიშვნელოვნად სჯობობს ბრიუსელის მსოფლიო გამოფენას, რომელიც შარშან გაიმართა.

ამერიკელთა თარეში დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი. 17 ივნისი. (საკ.სინ). ადნის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურენი კვლავ ჩადიან უწესობას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. სააგენტოს მონაცემებით, ქალაქ ჰოფში ამერიკელი ჯარისკაცი თავს დაესხა გერმანელს და მძიმედ დაჭრა თავში. დაზარალებული საავადმყოფოში გაგზავნეს. ქალაქ ფიურტში ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე თავს დაესხა 73 წლის პენსიონერს, გაძარცვა იგი და მიაყენა ჭრილობა. პენსიონერი აგრეთვე საავადმყოფოში მიიყვანეს.

ქალაქ ბაუმჰოლდერში ამერიკელმა ჯარისკაცებმა ჩხუბი ატეხეს და მძიმედ დაჭრეს ოფიციანტი ქალი.

უკანასკნელ დღეებში ამერიკელები თავს დაესხნენ აგრეთვე 23 წლის რეგინსბურგელ პენრიხ მეკს, ლანდშტულელ 20 წლის გერმანელ ჭაბუკს, ბამბერგელ 30 წლის ქალს, აგრეთვე ლუდვიგსბურგის ორ მცხოვრებს, ყველა დაზარალებული მძიმედ იყო დაშავებული.

თავისუფლება გლეზოსს!

ათენი, 17 ივნისი. (საკ.სინ). გაზეთი „ავგი" იმოწმებს მთავრობის წრეებიდან გამომდინარე ცნობებს და იუწყება, რომ განზრახულია მალე მოეწყოს მანოლის გლეზოსის დახურული გასამართლება სამხედრო ტრიბუნალში 375-ე კანონის საფუძველზე „ჯაშუშობის" ბრალდების გამო. როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში გლეზოსს დახვრეტა მოელის.

ამ ცნობებთან დაკავშირებით, იუწყება გაზეთი, ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრები იღლიე და ეკანგელიდისი მივიდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე ტემელისთან, რომელმაც სამხედრო იუსტიციის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შემდეგ განუცხადა მათ, რომ სასამართლო პროცესი გლეზოსის საქმეზე განზრახულია მოეწყოს ივლისში, და აგრძნობინა, რომ „ყველაზე მოსალოდნელია იგი მოეწყოს სამხედრო ტრიბუნალში".

ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის დელეგატებმა პროტესტი განაცხადეს ხელისუფალთა გადაწყვეტილების წინააღმდეგ და მოსთხოვეს ტემელოს აღკვეთოს გლეზოსის საქმის გადაცემა სამხედრო სასამართლოში, არამედ გადასცეს იგი ჩვეულებრივ სასამართლოს, რამდენადაც გლეზოსის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ამ სასამართლოს კომპეტენციაში შედის. საბერძნეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ ჩვეულებრივ სასამართლოში დამტკიცდება გლეზოსის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა სრული უსაფუძვლობა.

პროტესტს გამოთქვამს რა იმის წინააღმდეგ, რომ საზოგადოებრიობისაგან ფარულად ამზადებენ გლეზოსის დასჯას, გაზეთი „ავგი" წერს, რომ საბერძნეთის ხელისუფალთა მოქმედება, რომლებიც აპირებენ გლეზოსის მიცემას სამხედრო სამართალში, „არღვევს კანონიერებასა და კონსტიტუციას". გაზეთი აღნიშნავს, რომ გლეზოსის „ჯაშუშობის" ბრალდება გაამათიელეს როგორც ბერძენმა იურისტებმა, ისე სხვა ქვეყნების იურისტებმა, ხოლო კანონი 375, რომელიც სურთ შეუფარდონ გლეზოსს, დაგმო საბერძნეთის საზოგადოებრიობამ. „მანოლის გლეზოსის განთავისუფლება გაბდა თვალი პროგრესული კაცობრიობის მოთხოვნა და დემოკრატიული კანონების აღდგენისა და კონსტიტუციის პატივისცემის წინამძღვარი".

საერთაშორისო კონგრესი ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხებზე

რომი, 17 ივნისი. (საკ.სინ). აქ გაიხსნა საერთაშორისო კონგრესი ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხებზე. კონგრესში მონაწილეობას იღებს 500-ზე მეტი დელეგატი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. ვ. ტიმოფეევი. კონგრესის მონაწილენი მოისმენენ მოხსენებებს ატომური ენერგიისა და ელექტრონიკის საკითხებზე.



ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა გერმანიის გაერთიანების გზაზე.
ნახატი გ. ლომაძისა.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 17 ივნისი. (საკ.სინ). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ვერ ხედავს ჟენევის თათბირის წარმატებით დამთავრების პერსპექტივებს გაუმჯობესებას. ეიზენჰაუერმა გაიმეორა, რომ თუ საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვერ მოამზადეს ნიადაგი მთავრობათა მეთაურების შეხვედრის მოწყობისათვის და, როგორც მან თქვა, ვერ დათესეს თუნდაც მარცვალი ასეთი თათბირის წარმატებისა, მას „უსარგებლოდ" მიაჩნია უმაღლეს დონეზე შეხვედრა. ეიზენჰაუერმა თქვა აგრეთვე, რომ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწყობას იგი არ უკავშირებს ჟენევაში შეთანხმების მიღწევას აუცილებლად ბერლინის საკითხზე და მხედველობაში აქვს რაიმე პროგრესის მიღწევა თუნდაც სხვა საკითხებზე, ისეთებზე, როგორიც არის განიარაღება ან თერმოატომბულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა.

უპასუხა რა კითხვებზე, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს ესაუბროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ფ. რ. კოზლოვს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოდის. ამასთან დაკავშირებით ეიზენჰაუერმა თქვა: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ ისეთი ვიზიტები, როგორიც არის ნიქსონის ვიზიტი სსრ კავშირში და კოზლოვისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, უნდა გამოყენებულ იქნას თუნდაც მცირეოდენი პროგრესის მისაღწევად ორი ქვეყნის ურთიერთობაში და სხვა საერთაშორისო საკითხებზე.

მდგომარეობა ესპანეთში

პარიზი, 17 ივნისი. (საკ.სინ). მადრიდიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ესპანეთის ხელისუფლები დიდ შეშფოთებას იჩენენ იმასთან დაკავშირებით, რომ დასახულია 18 ივნისს მოეწყოს ეროვნული 24 საათის გაფიცვა ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ.

ფრანს პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ესპანეთის გაზეთებმა გუშინ გამოაქვეყნეს ცნობები და სტატიები, რომლებშიც გაჯავრებით უკეთებენ კომენტარებს „უკიდურესი მემარცხენე ელემენტების პოლიტიკურ მანევრებს".

უცხოელ მეთვალყურეთა აზრით, ფრანკოს მთავრობას სულ უფრო უძნელდება ესპანელი ხალხის ეს საპროტესტო მოძრაობა წარმოადგინოს „კომუნისტების მიერ ინსპირირებულ" მოძრაობად, რადგან გაფიცვისათვის მზადებაში მონაწილეობდნენ ესპანეთის მთელი პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები, მათ შორის სოციალისტები, ქრისტიან დემოკრატთა სხვადასხვა ჯგუფები, ლიბერალები, მონარქისტები და ფალანგისტებიც კი.

მოთხოვნას, რომ მოეწყოს ყველა პოლიტიკური პატიმრის საყოველთაო ამნისტია, შეუერთდა ესპანეთის ბევრი გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. მაგალითად, ფრანკისტული ავიაციის ყოფილმა სარდალმა გენერალმა კინდელანმა, რომელიც მონარქისტთა წრეებს ეკუთვნის, ხელი მოაწერა პეტიციას, რომელიც მოითხოვს გაათავისუფლონ საპყრობილეებიდან ათეულ ათასობით პოლიტიკური პატიმარი და განდევნილნი. გაზეთ „ლუმანიტეს" ცნობით, ამ პეტიციას უკვე მოაწერა ხელი 500 ცნობილმა ესპანელმა მოღვაწემ.

ერაყის ეკონომიკის მინისტრის ი. კუბას ინტერვიუ

ბერლინი, 17 ივნისი. (საკ.სინ). ერაყის ეკონომიკის მინისტრმა იბრაჰიმ კუბამ, რომელიც ამჟამად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება, ინტერვიუნი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის წარმომადგენლისადმი გამოთქვა იმედი, რომ შემდგომ გაღრმავდება მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა ორივე ქვეყნის შორის. „პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჩვენს რესპუბლიკებს შორის, — ხაზგასმით აღნიშნა ი. კუბამ, — ჩინებულია და განვითარებისა და აყვავების გზას ადგას". გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებელ წარმომადგენლებთან შეხვედრებმა და საუბრებმა, განაცხადა მან, ხელი შეგვიწყვეს უკეთ გავცნობოდით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკის მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს. ეს, ხაზგასმით აღნიშნა ი. კუბამ, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის განმტკიცებას ყველა დარგში. ი. კუბამ, მადლობა გადაუხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მოსახლეობას სტუმართმოყვარეობისათვის.

ზუგდიდი. შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობა.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭოს სესია

ვენა, 17 ივნისი. (საკ.სინ). აქ გაიხსნა ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელი ორგანოს — მმართველთა საბჭოს მორიგი სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ 23 ქვეყნის, აქედან საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ინდოეთის, პოლონეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, რუმინეთის, ინდონეზიის, იაპონიის წარმომადგენლები.

საბჭომ უნდა განიხილოს ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭოს 1960 წლის ბიუჯეტი და საქმიანობის პროგრამა, აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები. მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წლიური მოხსენება ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს საქმიანობის შესახებ, ღონისძიებანი გენერალური კონფერენციის სეკემბრის სესიის მოსამზადებლად, ინდონეზიის, ტაილანდისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თხოვნა მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ.

გარდა ამისა, გენერალურმა დირექტორმა საბჭოს განსახილველად შეიტანა წინადადება, რომ შეიქმნას „კონტროლისა და ინსპექციის სისტემა დახმარებისადმი, რასაც სააგენტო უწევს ქვეყნებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. ეჭვი არ არის, რომ ამ წინადადების მიზანია დასავლეთის მონოპოლისტებმა კონტროლი დაუწესონ განვითარებად ეროვნულ ატომურ მრეწველობას იმ ქვეყნებში, რომლებიც დახმარებას საგენტოს მეშვეობით იღებენ. ამ წინადადების ინიციატორია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია.

თეატრის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროო საქართველოს მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების მონაწილეობით 1959 წლის 20 თებერვალს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში იწვევს თეატრის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირს.

მოხსენებას თემაზე: „ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მწერალთა III ყრილობაზე და ხელოვნების მუშაკთა ამოცანები" გააკეთებს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი დ. ჩხეიძე.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „1958–59 წ. თეატრალური სეზონის დრამატურგია".

სასწრაფო დახმარება თვითმფრინავით

ვანის რაიონის სოფელ მიქელეფონის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ღვინიანიძე ორი თვის წინათ მცირე ავარიაში მოჰყვა.

29 მაისს ავადმყოფს დაეწყო თავის ტკივილი, რაც თანდათან მატულობდა. ადგილობრივი ექიმის წინასწარი დიაგნოზით მას უნდა ჰქონოდა ტვინში სისხლის ჩაქცევა. ავადმყოფი გადაყვანილ იქნა ქუთაისის მეორე საავადმყოფოში, სადაც ნეიროპათოლოგმა გავაშელმა ავადმყოფს დაუდასტურა იგივე დიაგნოზი და დაუნიშნა სასწრაფო ოპერაცია. ავადმყოფის მდგომარეობა თანდათანობით გაუარესდა. მან დაკარგა გრძნობა, განუვითარდა მარცხენა ხელისა და ფეხის დამბლა. ამიტომ გამოძახებულ იქნა თბილისის სასწრაფო დახმარების ავიასადგურიდან ნეიროქირურგი.

დოცენტი რ. შაქარიშვილი ადგილზე აღმოჩნდა 2 საათის შემდეგ. მან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ ა. ბეთანელთან ერთად გაკეთა თავის ქალას მძიმე ოპერაცია. თავის ტვინის მარჯვენა მხარეს ჩაღვრილი აღმოჩნდა 200 გრამამდე სისხლი, რომელიც გამოშვებულ იქნა. ავადმყოფი ოპერაციის მსვლელობაშივე მოვიდა გონს, სუნთქვა აღუდგა, მაჯისცემა ნორმას დაუბრუნდა.

ავადმყოფი ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

ექიმი ს. ბუბუტეიშვილი.



ევროპის ჩემპიონთა თასზე

მეორე ნახევარფინალური მატჩი „ლალობურთში ევროპის ჩემპიონთა თასზე ვალთა გუნდებს შორის გაიმართა სოფიაში. აქ თამაშობდნენ ოუგოსლავიის „სკ ბელგრადისა" და სოფიის „აკადემიკის" გუნდები. შეჯიბრება ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით და დამთავრდა ბულგარელ კალათბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 94:77.

ამრიგად, ბულგარეთის „აკადემიკი" გავიდა ფინალში.

ნაკრებთა მატჩები

ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა, რომელიც სპორტის მოყვარულთა შეუნელებელ ინტერესს იწვევს. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებათა შორის ყურადღებას იპყრობს კალათბურთელთა ასპარეზობა. თუ ვიმსჯელებთ გუნდების შემადგენლობათა და სიმძლავრის მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსკოვისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები სპარზო ადგილების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტები არიან.

ამიტომ იყო, რომ მოსკოვისა და საქართველოს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების გუშინდელმა შეხვედრებმა, რაც თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე მოეწყო, დიდი ინტერესი გამოიწვია.

ორივე შეხვედრა საქართველოს კალათბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს. ქალთა გუნდმა შეხვედრა მოიგო ანგარიშით 64 : 57, ვაჟთა გუნდმა 75 : 68.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1959-1960 სასწავლო წლისთვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს მექანიკა-მათემატიკის (სპეციალობანი: მექანიკა, მათემატიკა), ფიზიკის (სპეციალობანი: ფიზიკა, რადიოფიზიკა, ქართული და რუსული სექტორები), ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის (სპეციალობანი: გეოგრაფია, გეოლოგია), ბიოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის (სპეციალობანი: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ჟურნალისტიკა), აღმოსავლეთმცოდნეობის (სპეციალობანი: თურქული ენა და ლიტერატურა, სპარსული ენა და ლიტერატურა, სემიტოლოგია, არმენოლოგია), დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის (სპეციალობანი: გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა), იურიდიულ (სპეციალობანი: სამართლისმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია) და ეკონომიურ (სპეციალობანი: სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი, საბუხჰალტრო აღრიცხვა) ფაკულტეტებზე.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლამდე ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა და აქვთ დადებითი დასასიათება-რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან ან სასწავლებლიდან. ჟურნალისტიკის, სამართლისმცოდნეობისა და ფილოსოფიის სპეციალობებზე მიიღებიან მხოლოდ ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

ამ პირთათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ტექნიკური ან სპეციალური საშუალო სასწავლებელი, სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვებათ ამ პირებს, რომლებიც საშუალო სპეციალურ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იმყოფებოდნენ სამხედრო სამსახურში, ანდა ითვლებიან გამოშვების 5%-ში.

სამამულო ომის მონაწილეები, რომლებსაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადზე, ან ვერცხლისა და ოქროს მედალზე, მიიღებიან უგამოცდოდ, გარდა ლინგვისტურ სპეციალობებზე შემსვლელებისა, რომლებიც გამოცდას აბარებენ მხოლოდ სპეციალობის მიხედვით.

უმაღლეს სასწავლებლებში ყველი დანარჩენი შემსვლელი აბარებს მისაღებ გამოცდებს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით, შემდეგი საბუთების დართვით. ავტობიოგრაფია, ატესტატი ან დიპლომი (დედანი), პასპორტი და სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულნი ადგენენ პირადად), 4 ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ ზომისა), დოკუმენტი საწარმოო სტაჟის შესახებ (საწარმოო სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს საწარმოს ან დაწესებულების მიერ დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეთათვის —ამონაწერი საკოლმეურნეო შრომის წიგნაკიდან, დამტკიცებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. საკოლმეურნეო შრომის წიგნაკიდან ამონაწერში აღნიშნული უნდა იყოს თვითეულ წელს გამოშუშავებულ შრომადღეებთან ერთად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობაში დაწესებული შრომადღეების მინიმუმის რაოდენობა), დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან ან საშუალო სკოლიდან, ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დამოწმებული, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), გაცემული სკოლის ან უბნის ექიმის მიერ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. ამას გარდა სამამულო ომის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა სამხედრო კომისარიატიდან ან ამონაწერი სამხედრო ბილეთიდან სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში მონაწილეობის შესახებ.

საბუთები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. რაიონიდან ჩამოსულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით გამოცდების პერიოდში, უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ კი საერთო წესით.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში (პირველი კორპუსი, 1 სართული) დღის 2 საათიდან.

უნივერსიტეტის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრსპ. № 1, ტელეფონი № 3-28-66.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1959-60 სასწავლო წლისათვის მიღება იწარმოებს სამკურნალო (ქართულ და რუსულ ენაზე სწავლებით), პედიატრიულ, სან-ჰიგიენურ, სტომატოლოგიურ და ფარმაცევტულ ფაკულტეტებზე.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ იქნებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლამდე ასაკისა, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა და წარმოადგენენ დადებით დახასიათებას და რეკომენდაციას ინსტიტუტში ჩარიცხვისათვის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებისაგან და კოლმეურნეობათა გამგეობებისაგან.

იმ პირთათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ტექნიკური და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებელი, სავალდებულოა დაწესებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვებათ იმ პირთ, რომლებიც საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იმყოფებოდნენ არანაკლებ ორი წლისა სამხედრო სამსახურში ან ითვლებიან გამოშვების 5%-ში. უგამოცდოდ ინსტიტუტში ჩაირიცხებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებსაც აქვთ ფრიადოსანი ატესტატი ან დაჯილდოებულნი არიან შედილი საშუალო სკოლის დამთავრებისას.

ინსტიტუტში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ: ქართულ სექტორზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ფიზიკაში, ქიმიაში და გაიელიან ზეპირ გამოცდას რუსულ ენაში. რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ერთ-ერთ უცხო ენაში, ფიზიკასა და ქიმიაში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე ფაკულტეტის ზუსტი აღნიშვნით და დაერთოს დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობათა გამგეობებისაგან (კოლმეურნეებისათვის), საშუალო სკოლის ახლად დამთავრებულთათვის — დახასიათება-რეკომენდაციები — სკოლიდან და მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, საშუალო განათლების ატესტატი ან დიპლომი (დედანი), ავტობიოგრაფია, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა და პასპორტი (დედანენ პირადად), ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ) 3×4 სმ ზომისა, სამედიცინო ცნობა ფორმა № 286, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. სამამულო ომის მონაწილენი ადგენენ სამხედრო კომისარიატის მიერ შემოწმებულ ამონაწერს სამხედრო ბილეთიდან.

პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები ადგენენ საწარმო-დაწესებულებების მიერ შემოწმებულ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები — ცნობას, გაცემულს კოლმეურნეთა შრომის წიგნაკის საფუძველზე, დამოწმებულს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის და მოცემული კოლმეურნეობისათვის დადგენილი გამომუშავების მინიმუმის ჩვენებით, ყოველწლიურად ცალცალკე უკანასკნელ ორი წლის მანძილზე. (პრაქტიკული მუშაობის სტაჟი გამოითვლება 1 სექტემბრისათვის).

ყველა ცნობა შრომის სტაჟის შესახებ დადასტურებულ უნდა იქნას საქალაქო ან სარაიონო საბჭოს აღმასკომის მიერ.

საბუთები მიიღება 20 ივნისიდან 30 ივლისამდე ინსტიტუტის დირექციის შენობაში (მელიქიშვილის ქ. № 10).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ილ. ჭავჭავაძის პრ. № 3.)

აცხადებს, რომ ფიზიკის, მექანიკა-მათემატიკის და ქიმიის გაერთიანებული ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1959 წ. 30 ივნისს დღის 1 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დოცენტი **ვსევოლოდ ისიდორეს-ძე არაბაჯი** დაიცავს დისერტაციას თემაზე:

«Гроза и грозовые процессы».

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ანალიზურ ქიმიაში — 1 ადგილი.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება და ინსტრუქციით გათვალისწინებული საბუთები მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი, კაოს ქ. № 34.

ᲠᲐᲓᲘᲝ

19 ივნისი

პირველი პროგრამით

11.00 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 11.15 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — ქართული რომანსები ე. გოსტენინის შესრულებით, 12.45 — კონცერტი, 17.20 — ბელორუსული ხალხური სიმღერები, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს" სტადიონიდან, 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „ვიცხოვროთ და ვიშრომოთ კომუნისტურად" (მიკროფონთან — მწერალი ხუტა ბერულავა), 20.20 — გადაცემა ციკლიდან — „შეიდწლედის მოწინავენი", 20.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.00 — საუბარი: „მეცნიერება და რელიგია შეუთავსებელია", 21.15 — კონცერტი, 21.30 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი მოსკოვიდან, 22.00 — კონცერტის ტრანსლაცია.

მეორე პროგრამით

21.00 — კამერული მუსიკის კონცერტი, 21.25 — საუბარი: „ჰაერი და სუნთქვა", 21.40 — ჟ. ოფენბახი. ოპერეტა „პარიზის ცხოვრება" (მონტაჟი).

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი აცხადებს თელავის, სტალინირის, ბათუმის, ზუგდიდისა და მახარაძის სასწავლო საკონსულტაციო პუნქტებზე მიმაგრებული პირველი კურსის სტუდენტთა საყურადღებოდ, რომ მომდინარე წლის 22 ივნისიდან 29 ივნისამდე ჩათვლით პუნქტებზე გაიმართება ლექციები და კონსულტაციები პირველი კურსის ყველა საგანში.

სტუდენტები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ 21 ივნისს, გაეცნონ სალექციო ცხრილს და გატარდნენ რეგისტრაციაში. რეგისტრაციაში გასატარებლად საჭიროა წარმოდგენილ იქნას ცნობა-დახასიათება სამუშაო ადგილიდან.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

19 ივნისი

ოპერიტა და ბალეტი — მძინარე მზეთუნახავი, **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის** — ქარიშხალი, **სანკულტურის** — თაბაგარის ჩანაწერები, **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო ორკესტრი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაქს გრეგერისა და სხვ. მონაწილეობით.

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ბლუხანოვის სახელობის** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო და საზაფხულო) **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, კომუნარების ბაღი, ოქტომბრის რაიონის ახალი** (საზაფხულო) — ნინო, **ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზაფხულო), **თბილისი, კიროვის სახელობის პარკი** — დაუყოლიებელნი, **ამირანი** (საზამთრო), **სპარტაკი, საქართველო